გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№46 (1072) 29 - 30 აპრილი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ექსკლუზიური ინტერვიუ ისრაელის ელჩთან

გვ. 7

პრეზიდენტისა და ოპოზიციის შეხვედრის სკანდალური დეტალები

გიორგი მარგველაშვილი საარჩევნო კოდექსზე მომუშავე ჯგუფის წევრებს გაურიგდა?

მაისის შუა რიცხვებში პრეზიდენტის ეგიდით კონფერენცია მოეწყობა, სადაც ოპოზიციის სახელით მარგველაშვილი ისაუბრებს

გვ. 4

4 პარტია 26 მაისს ბიძინა ივანიშვილის ბიზნესცენტრთან „გადაგდებულებისა და მოტყუებულების“ აქციას ჩაატარებს

„ოცნებიდან“ ირიბად შემოგვითვალეს, მაჟორიტარებს დავთმობთ, თუკი პრეზიდენტი პირდაპირი წესით არ აირჩევა და მას პარლამენტი დანიშნავსო“

ექსკლუზიური ინტერვიუ უშიშროების საბჭოს მდივანთან

როგორ აფასებს სირიაში ქართველი ახალგაზრდების წასვლას და როდის ჩატარდება უშიშროების საბჭოს მორიგი სხდომა

გვ. 3

ხოკრიშვილი გადადგა

ვინ შეცვლის გარემოს დაცვის მინისტრს

გვ. 2

რა ხდება გალში? — აფხაზები და ქართველები ერთნაირად უუფლებონი არიან...

გვ. 6

რატომ

გამკაცრდა კონტროლი „საზღვარზე“
ვერ გადიან ახალგაზრდები 6 საათის მერე ქუჩაში
ასწავლიან მეხუთე კლასამდე მეგრულად
მღერიან აფხაზი ჯარისკაცები ქართულ სიმღერებს

ირინა ხაკამადას მასტერკლასი ქართველ პოლიტიკოსებს

გვ. 5

რას გვირჩევს ოკუპირებული ტერიტორიების დასაბრუნებლად, რას ფიქრობს პუტინზე და დაბრუნდება თუ არა პოლიტიკაში რუსი ტელეწამყვანი

ხოკრიშვილი გადადგა — ვინ შეცვლის გარემოს დაცვის მინისტრს

მაია მიშელაძე
593-51-90-12

საქართველოს მთავრობაში კიდევ ერთი ცვლილებაა — პოსტი ამჯერად გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა, ელგუჯა ხოკრიშვილმა დატოვა. მან, პრემიერ-მინისტრს, თანამდებობიდან გადადგომის თხოვნით, 28 აპრილს მიმართა. ელგუჯა ხოკრიშვილი უკვე მეექვსე მინისტრია, რომელმაც მთავრობის თავდაპირველი შემადგენლობა დატოვა. იმისთვის, რომ პარლამენტში საქართველოს მთავრობის მიმართ ნდობის გამოცხადების საკითხი დადგეს, კიდევ ერთი ცვლილებაა საჭირო, ანუ მეშვიდე მინისტრიც უნდა გადადგეს.

ოფიციალური ვერსიით, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა პოსტი იმ მიზეზით დატოვა, რომ მისი მეუღლე და შვილი საზღვარგარეთ, გერმანიაში ცხოვრობს და ოჯახი მოენატრა. ამის შესახებ ელგუჯა ხოკრიშვილი იმ განცხადებაში წერს, რომლითაც პრემიერ-მინისტრს თანამდებობიდან გადადგომის შესახებ მიმართავს: **„მოგახსენებთ, რომ მივიღე გადაწყვეტილება, დავტოვო დაკავებული თანამდებობა. საქართველოში მუშაობის პერიოდში, მთავრობის გუნდთან ერთად, შევძელით სახელმწიფო პოლიტიკაში ძირეული ცვლილებების შეტანა. რეფორმების კუთხით, პირველი და გადამწყვეტი ნაბიჯები გადადგმულია. სასურველი შედეგების მიღწევას კვლავაც დიდი შრომა და ძალისხმევა დასჭირდება, პროცესი კი უკვე შეუქცევადია. ჩემთვის დიდი პატივია ამ გუნდში მუშაობა, მაგრამ არის მომენტები, როდესაც რთული არჩევანია გასაკეთებელი. ამ ეტაპზე, პრინციპულად მნიშვნელოვანია, ვიყო ჩემს ოჯახთან, რომელიც საქართველოს საზღვრებს გარეთ ცხოვრობს. აღნიშნული გადაწყვეტილება მაძლევს შესაძლებლობას, განვიხილო საინტერესო შემოთავაზებები, რომელიც საშუალებას მომცემს, პროფესიული საქმიანობა გავაგრძელო და ჩემს შვილთან ერთად ვიცხოვრო. ცხადია, ამ გადაწყვეტილების მიღებამდე, ვესაუბრე მთავრობის მეთაურს და მადლობელი ვარ, რომ მან ჩემი პოზიცია გაიზიარა. მადლობა მინდა გადავუხადო სამინისტროს თითოეულ თანამშრომელს, ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო იმ მნიშვნელოვანი ღონისძიებებისა და ცვლილებების დაგეგმვასა და განხორციელებაში, რაც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის თანამდებობაზე, ჩემი ყოფნისას მოხდა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სამინისტროს ჰყავს ძლიერი გუნდი, რომელიც შეძლებს გააგრძელოს სწორი პოლიტიკა, სიახლეების ინტეგრაცია და გაუმკლავდეს გამოწვევებს, რაც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის მუდმივი თანმხლები პროცესია“.**

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის პოსტზე, ელგუჯა ხოკრიშვილი 2014 წლის ზაფხულში დაინიშნა, მანამდე იგი რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი იყო. ათიოდე დღის წინ, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, დავით შავლიაშვილმა თანამდებობა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დატოვა, ხოკრიშვილმა ოჯახის მონატრება მოიმიზეზა, მაგრამ ამ ტიპის ცვლილებები სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდს ჩამოგავს. ნაციონალური მოძრაობის ლიდერი საკუთარ მინისტრებს იმ მიზეზით ცვლიდა, თითქოს მათ საზღვარგარეთ კვალიფიკაცია უნდა აემაღლებინათ. სააკაშვილისეული უცხოეთში სწავლება კი ამჯერად, ჯანმრთელობის გაუარესებამ და ცოლ-შვილის მონატრებამ ჩაანაცვლა.

მართალია, ელგუჯა ხოკრიშვილი გადადგა, მაგრამ ამ ცვლილებას პარლამენტის მიერ, მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების პროცედურა არ მოჰყვება. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, თუ მთავრობის შემადგენლობის 1/3 (ანუ კიდევ ერთი, რიგით მეშვიდე მინისტრი) შეიცვლება პარლამენტში ნდობის გამოსაცხადებლად მხოლოდ ამის შემდეგ შევა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, **ირაკლი ღარიბაშვილმა** ელგუჯა ხოკრიშვილის განცხადება დააკმაყოფილა. პრემიერის განცხადებით, განსაკუთრებული არაფერი ხდება, რადგან საკადრო გადაადგილებები მთავრობაში დემოკრატიული და ჩვეულებრივი მუშა პროცესია: **„სულ ტყუილად ატეხეთ აჟიოტაჟი. მინდა, მოგიწოდოთ ყველას, ხელოვნურად ნუ ეცდებით, არასტაბილურობის განცდა გააჩინოთ. თუ საჭირო იქნება პარლამენტის ხელახალი ნდობის მოპოვება, არც ეს იქნება პრობლემა. ივლისში, როდესაც 7 მინისტრი გამოვცვალე, მთავრობამ ხელახლა მოიპოვა პარლამენტის ნდობა. ეს არის გამჭვირვალე, დემოკრატიული და მუშა პროცესი. მთავრობა საჭიროებს მუდმივად განახლებას. ასე რომ, მინდა გახაროთ, ამ ცვლილებაში არაფერი სასკანდალო არ არის, ყველაფერი კარგადაა. არაფერი სერიოზული არ ხდება. ერთი მინისტრი წავა, მეორე დაინიშნება, შეიძლება, სხვა მინისტრიც წავიდეს“.**

ერთ-ერთი ვერსიით, გამორიცხული არ არის, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის, დავით შავლიაშვილის, ასევე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ელგუჯა ხოკრიშვილის ბედი, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმაც გაიზიაროს. თუმცა ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ამ ეტაპზე ლევან ყიფიანის შეცვლაზე საუბარი ნაადრევია. პრემიერმა მედიას ურჩია, მოვლენებს დაელოდოს და იქვე განმარტა, რომ თავის დროზე, საზოგადოება ყველაფერს გაიგებს.

მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, შესაძლოა, ელგუჯა ხოკრიშვილი ამ თანამდებობაზე ბიძინა გიორგობიანმა შეცვალოს, რომელიც თბილისის მერიის გარემოსა და ეკოლოგიური ზედამხედველობის სამსახურს ხელმძღვანელობს. ირაკლი ღარიბაშვილი ამ ინფორმაციას არ ადასტურებს. მეტიც, აცხადებს, რომ გიორგობიანის კანდიდატურა არც განიხილება. ელგუჯა ხოკრიშვილის შემცვლელს, ირაკლი ღარიბაშვილი უახლოეს დღეებში დაასახელებს: **„ბატონი ელგუჯა არის ძალიან კომპეტენტური, კვალიფიციური და უწესიერესი ადამიანი. მართლა გული დამწყდა, რომ ვეღარ შეძლო მუშაობის გაგრძელება, მაგრამ საპატიო მიზეზი ჰქონდა, რადგან მისი ოჯახი გერმანიაში ცხოვრობს. ვინაიდან ოჯახი ჩემთვისაც ძალიან ძვირფასია, წინააღმდეგობა ვეღარ გავუწიე. მინდა, მას გაწეული საქმიანობისთვის მადლობა გადავუხადო და წარმატებები ვუსურვო. რაც შეეხება ახალ მინისტრს, მას უახლოეს დღეებში დავასახელებ. ბიძინა გიორგობიანის კანდიდატურა ამ პოსტზე არ განიხილება“.**

მთავრობის კულუარებში გავრცელებული ინფორმაციით, ელგუჯა ხოკრიშვილიც იმავე მიზეზით გადადგა, რა მიზეზითაც დავით შავლიაშვილმა დატოვა თანამდებობა. როგორც ამბობენ, „ძაღლის თავი“ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში, კერძოდ ჩაშლილ ტენდერებშია დამარხული. ცხადია, ჩაშლილი ტენდერების გამო, მხოლოდ ამ სამინისტროს მოქმედი მინისტრის, დავით შავლიაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი ვერ დადგებოდა. არც ისე ხარისხიანად დაგებული გზების, თუნდაც სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერებში არსებული სხვადასხვა დარღვევის სკანდალს ელგუჯა ხოკრიშვილის კანდიდატურაც შეეწირა. კულუარებში იმასაც ამბობენ, რომ შესაძლოა, გარემოს დაცვის მინისტრი, დედაქალაქში, ხეების გაჩეხვის სკანდალს შეეწირა. ბოლო დროს, თბილისის სხვადასხვა უბანში ხეებს უმოწყალოდ ჩეხენ, თუმცა ყველაზე კულმინაციური ფაქტი რამდენიმე დღის წინ, იპოდრომზე დაფიქსირდა. სამშენებლო კომპანიამ, რომელმაც იპოდრომზე ხეები გაჩეხა, სხვადასხვა უწყების გარდა, ნებართვა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროდანაც მიიღო. თბილისის მერიაში კი საკმაოდ უსუსური და აბსურდული განმარტებით შემოიფარგლნენ: **„სამშენებლო კომპანიამ იპოდრომზე ხეები გაჩეხა, სამაგიეროდ, ნუცუბიძის პლატოზე დარგავს“.**

წლების წინ, მაშინდელმა ოპოზიციონერებმა, რომლებიც ახლა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები არიან, იპოდრომს „თბილისის ფილტვები“ უწოდეს. ახლა კი ამ „ფილტვებს“ სერიოზული ანთება აქვს და ვიდრე ეს დაავადება ბრონქიალურ ასთმაში ან ტუბერკულოზში გადაიზრდება, შველა სჭირდება. ამ შემთხვევაში, პრობლემა იმდენად მძიმეა, რომ ცალკეული მინისტრების ცვლილებას აზრი აღარ აქვს.

უგულავას საქმეს ადვოკატები აჭიანურებენ

რატომ არ არის მერყოფილის პროცესი „უპრეცედენტო“

გიორგი იაშვილი

28 აპრილს, თბილისის საქალაქო სასამართლოში თბილისის ყოფილი მერის, გიგი უგულავას მორიგი სასამართლო პროცესი გაიმართა. წინა პროცესების დარად, ადვოკატებმა მოწმეების დაკითხვა მოინდომეს და რაც მთავარია, ისევ იმ მოწმეების, რომლებიც უკვე დაკითხულნი არიან და თან არაერთხელ. მეტიც, ადვოკატებმა მოსამართლე ვახტანგ მრელაშვილს „შეუტიეს“. უთხრეს, რომ იგი მხოლოდ იმიტომ მოხვდა უგულავას პროცესის მოსამართლედ, რომ ადვოკატების შუამდგომლობას არ დააკმაყოფილებდა და მერყოფილს თავისუფლებაზე არ გაუშვებდა. თავის მხრივ, მრელაშვილმა ადვოკატებს დაუსაბუთა, თუ რატომ არ უნდა იყოს უგულავა თავისუფლებაზე, თუმცა უფრო საინტერესო მეორე პროცესი გახლდათ.

„სასამართლოს ძვირფასი დრო იფლანგება იმაში, რომ თქვენ ითხოვთ ერთი და იგივე პიროვნებების დაკითხვას, რაც მაფიქრებინებს, რომ შეგნებულად აჭიანურებთ პროცესს და გსურთ, ეს ყველაფერი ვადაში გაწელოთ. ასე არ გამოვა, ასე არ იქნება. თქვენს შუამდგომლობას მოწმეებთან დაკავშირებით, რომელიც მათ კიდევ და კიდევ დაკითხვას გულისხმობს, აღარ დავაკმაყოფილებ. სასამართლოს პატივი ეცით და საქმეზე ილაპარაკეთ“, — ეს განცხადება მეორე სასამართლო პროცესის დროს მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძემ გააკეთა.

ფაქტია, უგულავას პროცესი ბრაზილიური სერიალივით გაიჭიმა და რაც მთავარია, ამაში „დამნაშავეები“ სწორედ ადვოკატები არიან. თბილისის ყოფილი მერი ყველა პროცესზე, პრაქტიკულად, პრესკონფერენციებს მართავს და რაც მთავარია, მუდმივად აყენებს შეურაცხყოფას კონკრეტულ ადამიანებს. არადა, სწორედ მაშინ, როცა გიგი უგულავა და მისი გუნდი იყო ხელისუფლებაში, სასამართლოზე ზედმეტი ხმის ამოღებას ვერავინ ბედავდა და ზოგადად, სასამართლო პროკურატურის სანოტარო ბიუროდ იყო ქცეული.

რაც შეეხება უშუალოდ თბილისის მერს. უგულავას დროს თბილისის მერიაში და მასზე დაქვემდებარებულ სამსახურებში მომღერლებიდან დაწყებული, საახლობლო-სანათესაოთი დამთავრებული, ყველა რომ იყო გაფორმებული და ყველა ხელფასს იღებდა, კარგად მოგეხსენებათ. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ნაციონალური მოძრაობა პარტიის აქტივისტებს სწორედ მერიის მეშვეობით უხდიდა და ეს უგულავას და მის გუნდს ჩვეულებრივ ამბად მიაჩნდათ. ახლა რომ გაახსენდათ ადვოკატების ინსტიტუტი მაშინ, როცა ისინი ხელისუფლებაში იყვნენ, ადვოკატის ფასი ნულს ქვემოთ იყო და სწორედ იმ ხელისუფლების პირობებში, სასამართლო 99.9%-იან გამამტყუნებელ განაჩენებს იღებდა.

რაც შეეხება უშუალოდ ამ პროცესს და იმას, რომ თურმე გიგი უგულავას საქმე უპრეცედენტოა, **„არ არსებობს პრეცედენტი იმისა, რომ 9-თვიანი ვადის გასვლის შემდეგ, ადამიანი გაუსამართლებლად იყოს გისოსებსმიღმა. უგულავას საქმეს ანალოგი არ აქვს, იგი ხელისუფლების პირადი პატიმარია“,** — ეს განცხადება პარლამენტარმა გოკა გაბაშვილმა გააკეთა და მას ყოფილი მერიც დაეთანხმა, თუმცა...

არსებობს რამდენიმე საქმე, მათ შორის ძალიან გახმაურებული, როცა წინა ხელისუფლებამ, კონკრეტულად კი 2010 წელს, ექვსი პირი გაუსამართლებლად გისოსებსმიღმა 10 თვით დატოვა, შემდეგ კი თითოეულ მათგანს გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანა. ეს ზუსტად ისეთივე ტყუილია, როგორც ის, რომ თავის დროზე ბაჩანა ახალაიას თურმე წინასწარი ორთვიანი ორჯერ შეუფარდეს, რაც ასევე უპრეცედენტოდ მოინათლა. არადა, ისევ წინა ხელისუფლების პირობებში და 2011 წელს, იყო შემთხვევა, როცა დაკავებულ პირს წინასწარი ორთვიანი პატიმრობა მოსამართლე ზვიად ესებუამ ორჯერ შეუფარდა და ამ სიის გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება. რა გამოდის? ის, რაც შეიძლებოდა ნაციონალური მოძრაობის დროს, არ შეიძლება ახლა? გამოდის, წინა ხელისუფლება კანონს ჭრიდა და კერავდა და მაშინ არ ფიქრობდა, რომ ეს დანაშაული იყო.

რეალურად კი საგანგაშო არაფერი ხდება: პროცესი მიდის და თანაც ისე, როგორც უნდა მიმდინარეობდეს. ერთი ეგაა, ადვოკატების მიერ შეგნებულად გაჭიმული საქმე მოსამართლეს, როგორც ჩანს, უკვე ყელში ამოუვიდა და სწორედ ამის გამოაშკარავება იყო მათი გაბრაზების მიზეზი.

შინაგან საქმეთა მინისტრი შვეიცარიის ელჩს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური შვეიცარიის ელჩ გიუნტერ ბეხლერს შეხვდა. საუბარი ელჩის მიერ საქართველოში არსებულ ბიზნესგარემოსთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებს შეეხო. მანამდე, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, გიუნტერ ბეხლერთან შეხვედრის შემდეგ, შინაგან საქმეთა მინისტრს ელჩთან შეხვედრა, საკითხის შესწავლა და დანაშაულის გამოკვეთის შემთხვევაში, კანონის შესაბამისი ზომების გატარება დაავალა.

„ვერსიანიუსი“

ექსკლუზიური ინტერვიუ უშიშროების საბჭოს მდივანთან

როგორ აფასებს სირიაში ქართველი ახალგაზრდების წასვლას და როდის ჩაცარდება უშიშროების საბჭოს მორიგი სხდომა

ნინო კომახიძე
599-95-33-16

ერიდება საშინაო პოლიტიკაზე, განსაკუთრებით, ყოფილ პარტიულ ლიდერზე, ირაკლი ალასანიაზე საუბარს. შესაბამისად, არ გვპასუხობს ფრანგული საჰაერო შეიარაღების შანსის დაკარგვა-არდაკარგვის საკითხზე და ზოგადად, ხელისუფლების შტოებს შორის არსებულ აშკარა დაპირისპირებაზე. ირინა იმერლიშვილი, რომელიც დღეს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანია, პოსტზე დანიშვნის შემდეგ ექსკლუზიურ საგაზეთო ინტერვიუს „ვერსიას“ აძლევს და ბევრ საინტერესო განცხადებასაც აკეთებს, საუბარს კი ბელარუსის პრეზიდენტის ვიზიტის შეფასებით ვიწყებთ.

— საქართველო-ბელარუსის ურთიერთობებში უმნიშვნელოვანესი არაღიარების პოლიტიკის გაგრძელება იყო. სწორედ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მტკიცე მხარდაჭერისთვის გადაუხადა გიორგი მარგველაშვილმა განსაკუთრებული მადლობა კოლეგას. არავისთვისაა საიდუმლო, რომ ლუკაშენკომ საქართველოს მხარდაჭერის გადაწყვეტილება დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური წნეხის მიუხედავად მიიღო. ამავე დროს, საინტერესო და სასარგებლო შეიძლება აღმოჩნდეს სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარება, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სფეროში. ბელარუსი დღესაც რჩება აგროტექნიკის ერთ-ერთ მსხვილ მწარმოებლად პოსტსაბჭოთა სივრცეში.

— ქვეყანაშიც და მის გარეთაც რთული ვითარებაა. რატომ დავობს სრულიად საქართველო, სად უნდა იმუშაოს პრეზიდენტმა და როგორია თქვენი პოზიცია?

— რეზიდენციასთან დაკავშირებულ საკითხებზე პოზიცია პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ გამოხატა და ვერაფერს დავამატებ. ამ საკითხზე, ჩემი სახელით რაღაც კომენტარებიც გავრცელდა, თუმცა ინფორმაციის წყარომ საჯაროდ მოიხადა ბოდიში დაშვებული უზუსტობისთვის.

— უშიშროების საბჭოს სხდომებზე გკითხავთ — რატომ ტარდება ასე იშვიათად, როცა ქვეყანა ამდენი გამოწვევის წინაშე დგას?

— საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ეროვნული უშიშროების საბჭო პრეზიდენტის სათათბირო ორგანოა და იგი ქვეყნის სამხედრო აღმშენებლობისა და თავდაცვის ორგანიზაციებისთვის იქმნება. პრეზიდენტი წყვეტს, უნდა მოიწვიოს თუ არა საბჭოს სხდომა. ეს მისი პრეროგატივაა. ამავე დროს, კანონი არ განსაზღვრავს სხდომების მოწვევის სიხშირეს, ამიტომ შეფასება, საბჭო იშვიათად იკრიბება თუ ხშირად, არასწორი მგონია, რადგან ორგანული კანონი „ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ“ პირდაპირ განსაზღვრავს საკითხების ნუსხას, რომელთა განსახილველადაც საბჭო უნდა შეიკრიბოს.

— პასიურობის მიზეზი უშიშროების საბჭოს ორად გაყოფა ხომ არ არის? თუ სწორად მესმის, საბჭოს მართვის ფუნქცია, რაც მანამდე ერთპიროვნულად პრეზიდენტს ჰქონდა, პრემიერმაც აიღო. ეს ამ მნიშვნელოვანი ინსტიტუტის პოლიტიკური გაყოფის მცდელობად შეფასდა. რა მოიტანა ამ ცვლილებებმა?

— „საბჭო ორად გაიყო“ არასწორი ფორმულირებაა. 2014 წელი ეროვნული უშიშროების საბჭოსთვის ისევე, როგორც სხვა სახელმწიფო ინსტიტუტებისთვის, ახალ პოლიტიკურ რეალობასთან ადაპტაციის წელი იყო. კონსტიტუციურმა ცვლილებებმა საბჭოს როლის ცვლილებაც გამოიწვია. ეროვნული უშიშროების საბჭო კონსტიტუციური ორგანოა, რომელსაც პრეზიდენტი ხელმძღვანელობს. იმ პირობებში, როცა პრეზიდენტი აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი აღარაა, საბჭოს კომპეტენციასთან დაკავშირებული საკითხების მკაფიო ფორმულირება გახდა აუცილებელი. ამ თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი იყო საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივა, რომელშიც პრეზიდენტმა საბჭოს საქმიანობის საკუთარი ხედვა წარმოადგინა და სხვა საინტერესო მომენტებთან ერთად, საბჭოს მუდმივმოქმედი წევრების შემადგენლობის გაზრდასაც ითვალისწინებდა. საქართველოს პარლამენტმა, საშემოდგომო სესიაზე, მიიღო ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ კანონის ახალი რედაქცია, რომელშიც სრულად იზიარებს პრეზიდენტის ხედვას. შესაბამისად, ეროვნული უშიშროების საბჭო უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური გადაწყვეტილებების შემუშავების „მოედნად“ იქცა. ორგანულმა კანონმა ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ მკაფიოდ განსაზღვრა საბჭოს კომპეტენცია. ამავე დროს, საბჭოს შემადგენლობაში ახალი წევრების, საპარლამენტო კომიტეტების თავმჯდომარეების დამატებამ, უშიშროების საბჭო აქცია ორგანოდ, რომელიც ხელისუფლების საპრეზიდენტო, აღმასრულებელი და საკანონმდებლო შტოების წარმომადგენლებს ერთობლივი მსჯელობის საშუალებას აძლევს. ამ ცვლილებების შედეგად ეროვნული უშიშროების საბჭო, ინსტიტუციურად უზრუნველყოფს პრეზიდენტის სამუშაო ურთიერთობას როგორც მთავრობასთან, ისე პარლამენტთან, რაც უმაღლესი დონის პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საბჭოს განსაკუთრებულ როლს აკისრებს და იგი პოლიტიკური შეთანხმებების ორგანოდ მოიაზრება. რაც შეეხება სახელმწიფო უსაფრთხოების საბჭოსთან კოორდინაციას – ჩვენ ყველა იმ საკითხზე ვთანამშრომლობთ, რაზეც ერთობლივი მუშაობა კანონითაა განსაზღვრული.

— ბოლოს როდის ჩატარდა უშიშროების საბჭოს სხდომა. როგორც მახსოვს, ბოლო თუ არა, ერთ-ერთი ბოლო სხდომა მარგველაშვილმა შარშან შემოდგომაზე მოიწვია და მას მთავრობა არ დაესწრო, მოუცლელობის გამო. ეს დამოკიდებულება სწორად მიგაჩნიათ?

— ეროვნული უშიშროების საბჭოს ბოლო სხდომას ესწრებოდნენ პრემიერ-მინისტრი და კაბინეტის სხვა წევრები და ეს სხდომა პრეზიდენტის ავლაბრის

რეზიდენციაში ჩატარდა. უშიშროების საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართება მაშინ, როდესაც დღის წესრიგში დადგება საკითხები, რომელთა განხილვაც ორგანული კანონით სწორედ საბჭოს ევალება.

— ამ საკითხთა ნუსხაში არც ერთ-ერთი ბოლო გამოწვევა, სირიაში ქართველი ახალგაზრდების გადინება შედის? გაქვთ ინფორმაცია, ვის, რომელი რაიონებიდან გაჰყავს ქართველები სირიაში?

— საერთაშორისო ტერორიზმი გლობალური გამოწვევაა. ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე ომები უშუალოდ აისახება უსაფრთხოების გარემოზე კავკასიაში. ფაქტი, რომ სირიისა და ერაყის ტერიტორიაზე მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში ჩვენი მოქალაქეებიც მონაწილეობენ, ცხადია, მნიშვნელოვანი გამოწვევაა ჩვენი სახელმწიფოსთვის. სრულიად ვიზიარებ საზოგადოების შეშფოთებას ამ ფაქტებით, თუმცა ვფიქრობ, კონკრეტული დეტალების საგაზეთო ინტერვიუში გამჟღავნება შეუძლებელია. ერთადერთი, რისი თქმის უფლებაც მაქვს, შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ შესაბამისი მუშაობა მიმდინარეობს.

— კავკასიაში არსებულ ისედაც მუდმივად მძიმე ვითარებას, ამჯერად, „კავკასიის იმირატის“ მეთაურის მკვლელობა ხომ არ დაამძიმებს? უცხოური მედია არ გამორიცხავს, რომ ამას კავკასიაში უფრო სისხლიანი დაპირისპირება მოჰყვება, მათ შორის, ისის-ის ჩართულობით. როგორი უნდა იყოს ამ გარედაპირისპირებებში საქართველოს როლი და ჩვენს ქვეყანას პირდაპირი საფრთხე თუ ემუქრება?

— ისის-ი გლობალური საფრთხეა, საქართველო აქტიურად მონაწილეობს ანტიტერორისტულ ღონისძიებებში და განსაკუთრებული წვლილი შეაქვს გლობალური უსაფრთხოების სისტემის ფუნქციონირებაში. ევროინტეგრაციის, ნატო-სთან დაახლოების ინტენსივობა, თავდაცვისუნარიანობის ამაღლების პროცესი საშუალებას გვაძლევს, ჩვენი ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხეები შევამციროთ.

— ქალბატონო ირინა, დიდი ხანია, არის უშედეგო მცდელობა, მთავრობა და პრეზიდენტი აფხაზეთისა და სამაჩაბლოს თემაზე დახურულ ფორმატში შეხვდნენ; ასევე ჩავარდა და შემდეგ, მხარეთა ორმხრივი თანხმობით გადაიდო პარლამენტსა და პრეზიდენტს შორის ამავე თემაზე ჩანიშნული შეხვედრა. რატომ არ არის ეს საკითხი ქვეყნის პირველი პირებისთვის აქტუალური?

— უკანასკნელი 2-3 თვის განმავლობაში, საქართველოს პრეზიდენტმა ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებულ საკითხებზე შეხვედრების მთელი სერია გამართა. შეიძლება ითქვას, პრეზიდენტი შეხვდა ყველას, ვინც აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის, ცხინვალის თემატიკაზე მუშაობს — არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ექსპერტებს, საპარლამენტო ოპოზიციისა და არასაპარლამენტო პარტიების ლიდერებს, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ლეგიტიმური სტრუქტურების ხელმძღვანელებს. შეხვედრების მთავარი მიზანი ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში ერთიანი, ფართო საზოგადოებრივ კონსენსუსზე დაფუძნებული სტრატეგიის შემუშავებაა. ის რომ, საპარლამენტო უმრავლესობასთან შეხვედრა ამ დრომდე არ შედგა „არააქტუალობის“ ბრალი არ არის, უბრალოდ, გარკვეული ტექნიკური მიზეზებითაა გამოწვეული და ასეთი შეხვედრა უახლოეს მომავალში გაიმართება. საპარლამენტო უმრავლესობასთან შეხვედრა, თუ შეიძლება ასე ითქვას, წრეს შეკრავს — პრეზიდენტს ექნება სრული ინფორმაცია ამ საკითხებზე. სწორედ ეს გახდება საფუძველი, პროცესის დასკვნითი ნაწილის, მაღალი დონის საერთაშორისო კონფერენციის მოსამზადებლად, სადაც ქართული მხარე კონფლიქტებთან დაკავშირებით ერთიან, შეჯერებულ ხედვას წარადგენს.

რატომ ძვირდება ინტერნეტის მომსახურების ტარიფი „ახალი ქსელების“ აბონენტებისთვის

2015 წლის 1 მაისიდან, 19 და 29-ლარიანი პაკეტის მფლობელები 3 ლარით მეტს გადაიხდიან

მაია მიშელაძე
593-51-90-12

2015 წლის 1 მაისიდან, „ახალი ქსელების“ აბონენტებისთვის მომსახურების ტარიფი 3 ლარით გაძვირდება. კომპანიაში აცხადებენ, რომ ცვლილება შეეხება მხოლოდ მინიმალის 19-ლარიანი, სტანდარტის ADSL 29-ლარიანისა და ოპტიკის სააბონენტო გადასახადს.

ინტერნეტის თვითღირებულების გადახდა „ახალ ქსელებს“ დოლარში უწევს. 2014 წლის ნოემბრიდან დღემდე, საქართველოს ეროვნული ვალუტის, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი დოლართან მიმართებაში, თითქმის 30%-ით გაუფასურდა. „ახალი ქსელების“ გაყიდვების სამსახურის უფროსმა, **გიორგი დურგლიშვილმა** „ვერსიას“ განუცხადა, რომ კომპანიამ მომსახურების ტარიფი სწორედ ლარის კურსის ცვლილების გამო გადაწყვიტა: **„სხვა ინტერნეტ-პროვაიდერებმა არ დაიცადეს და ტარიფი შედარებით ადრე გააძვირეს. ჩვენ დაახლოებით, 4-5 თვე ველოდით, რომ ვითარება დასტაბილურდებოდა. ამ ხნის განმავლობაში, კომპანიამ საკუთარი, შიდარესურსი გამოიყენა, ანუ ფინანსური ზარალი საკუთარ თავზე ავიღეთ, რომ ჩვენი აბონენტებისთვის დისკომფორტი არ შეგვექმნა. თუმცა ამ ეტაპზე მეტი გამოსავალი აღარ გვქონდა და შესაბამისად, ტარიფები „ახალმა ქსელებმაც“ გაზარდა, ოღონდ ეს მინიმალური ზრდაა, რათა ჩვენი აბონენტების ფინანსური მდგომარეობა არ დაზარალდეს“.**

გიორგი დურგლიშვილის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტის მომსახურების ტარიფი იზრდება, ამით „ახალი ქსელების“ მომსახურების ხარისხი არ გაუარესდება. პირიქით, კომპანია ზრუნავს, აბონენტებმა უწყვეტი და მაღალი ხარისხის ინტერნეტი მიიღონ. გიორგი დურგლიშვილმა „ვერსიას“ ისიც განუცხადა, რომ კომპანიამ 2014 წლის დეკემბერში, საკუთარი აბონენტებისთვის ინტერნეტის სიჩქარე გაზარდა, თუმცა სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო ლარის გაუფასურება, რაც „ახალ ქსელებს“ მძიმე ტვირთად დააწვა. კომპანიაში არ აკონკრეტებენ, რა რაოდენობის ფინანსური ზარალი მიადგათ, თუმცა ეს საკმარისი იყო, რათა მომსახურების ტარიფი გაეზარდათ: **„აბონენტებს რამდენიმე სახის პაკეტს ვთავაზობთ. თუმცა მომსახურების ტარიფი მხოლოდ პირველი ორი პაკეტის მფლობელი აბონენტებისთვის გაძვირდება. შესაბამისად, 2015 წლის 1 მაისიდან, მინიმალის, ანუ 19-ლარიანი პაკეტის მფლობელები 22 ლარს გადაიხდიან, ხოლო სტანდარტის, ანუ 29-ლარიანი პაკეტის მფლობელები — 32 ლარს. ცვლილება არ შეეხება სტანდარტ პლუსის, პრემიუმის, პრემიუმ პლუსისა და ბიზნესპაკეტების მფლობელ აბონენტებს“.**

2015 წლის 17 ივნისიდან, საქართველო ციფრულ მაუწყებლობაზე გადადის და ამისთვის „ახალი ქსელებიც“ მზადაა. „ვერსიასთან“ საუბრისას გიორგი დურგლიშვილმა აღნიშნა, რომ კომპანიას უკვე აქვს ციფრული მომსახურება, ეს არის ახალი თაობის IP ტელევიზია, რომელიც IPTV ტექნოლოგიას ეფუძნება და საშუალებას იძლევა, მომხმარებელმა ციფრული სატელევიზიო არხები მიიღოს.

„ახალი ქსელების“ ის აბონენტები, რომლებიც უკვე ინტერნეტითა და ტელეფონით სარგებლობენ და გადაწყვეტენ, ციფრული მაუწყებლობაც სწორედ ამავე კომპანიის საშუალებით მიიღონ, სპეციალური განაცხადების შემდეგ, IPTV-ს აბონენტები გახდებიან. თვეში 12 ლარად, შეძლებთ, რომ 37 არხს უყუროთ. სამაგიეროდ, აღარ დაგჭირდებათ „სეთ-თოფ ბოქსი“, სპეციალური ანტენა და სადენი, რადგან თქვენ უკვე ციფრული მაუწყებლობის აბონენტი იქნებით.

პრეზიდენტისა და საარჩევნო კოდექსზე მომუშავე ჯგუფის შეხვედრის სკანდალური დეტალები

ნინო კომახიძე
599-95-33-16

28 აპრილს ავლაბარში, პრეზიდენტის რეზიდენციაში დიდი შეხვედრა გაიმართა. გიორგი მარგველაშვილი საარჩევნო კოდექსზე მომუშავე ინტერპარტიულ ჯგუფს, არასამთავრობო სექტორსა და ექსპერტებს შეხვდა. შეხვედრაზე არასაპარლამენტო ოპოზიციიდან ქრისტიან-დემოკრატების ლიდერი გოჩა ჯოჯუაც იმყოფებოდა, რომელიც „ვერსიას“ შეხვედრის დასრულებისთანავე ექსკლუზიურად ესაუბრა და ამ შეხვედრის სკანდალური დეტალები სწორედ ჩვენთან გაასაჯაროვა.

— ოპოზიციურ პოლიტიკურ სპექტრთან ერთად, პრეზიდენტს მემორანდუმზე ხელმომწერი ორგანიზაციებიც შევხვდით, არასამთავრობოებიცა და ექსპერტებიც. მხოლოდ ზურაბ ხარატიშვილი და სოსო ცისკარიშვილი ვერ მოვიდნენ. შეხვედრაზე გახლდათ ხათუნა ლაგაზიძე, ნინო ლომჯარია, საია-ს წარმომადგენლები, მოკლედ ყველა, ვინც ივანიშვილს არ მოსწონს.

— შეხვედრის მთავარი თემა რა იყო?

— პირველ რიგში, მარგველაშვილს მადლობა გადავუხადეთ, რომ პარლამენტის სხდომაზე საარჩევნო კოდექსის შეცვლის საკითხი პირდაპირ დააყენა. თავის დროზე, პრეზიდენტს გაუჩნდა იდეა, თუკი კონსტიტუცია უნდა შეიცვალოს, მაშინ საუკეთესო მოდელი ორპალატიანი პარლამენტის შემოტანა იქნებაო. თუმცა ეს საკითხი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთანაცაა დაკავშირებული და იდეა ისევ რეზერვში გადავიდა. ამ თემის გახსენება იმან მოიტანა, რომ არაფორმალური შეხვედრების დროს პარტია „ოცნების“ აღმასრულებელ მდივანთან, ირაკლი კობახიძესა და ასევე კახა კალაძესთან, არასამთავრობო ორგანიზაციებმა პირდაპირ მიიღეს პასუხი — „ოცნება“ არ წავა კონსტიტუციის შეცვლაზე მხოლოდ საარჩევნო საკითხების გარშემო. ისინი საარჩევნო კოდექსის შეცვლას აპირებენ, რაც ძალიან ცუდი შეთავაზებაა. 2007 წელს, თბილისში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები სწორედ ამ მოდელით ჩატარდა და გამარჯვებულმა პარტიამ მიღებული პროცენტის შესაბამისი კი არა, ყველა მანდატი წაიღო. ამ მოდელით მაჟორიტარებს პარტიული სიებით წარადგენენ, რაც დღეს უკანგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა. იგი, თავის დროზე, მიხეილ მაჭავარიანმა შექმნა და მას „გეგმა ბარბაროსა“ დაერქვა. ამ მოდელის მიხედვით, საკრებულოში ორადორი ოპოზიციონერი გავიდა და იგივე მიზანი აქვს ახლა „ოცნებასაც“. საუბარში პრეზიდენტმაც აღნიშნა, რომ ჩანს ერთი ტენდენცია: ხელისუფლება მოდელს კი არ ქმნის და მერე მას არგებს თავის გეგმებს, პირიქით — განსაზღვრული აქვს, რამდენი მანდატის აღება სურს და ამის მიხედვით ქმნის მოდელსა და კანონს.

— პრეზიდენტი ამ მსჯელობაში მოგყვებათ?

— მარტო მსჯელობაში კი არ მოგვყვება, მასა და მის ადმინისტრაციას ნაფიქრი ჰქონდა ამ თემებზე. ჩვენ ერთად ვმსჯელობდით, როგორ შეიძლება საარჩევნო კოდექსის არაპოპულარული თემა აქტუალური გავხადოთ და ხალხის მხარდაჭერით, ხელისუფლება დავიყოლიოთ, პროგრესული ნაბიჯები გადადგას. ამისთვის უნდა შეიქმნას სამუშაო ჯგუფი და მომზადდეს დიდი კონფერენცია, სადაც მთელი პოლიტიკური სპექტრი, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ექსპერტები ერთად შევიმუშავებთ რამდენიმე პრინციპს: 1. უნდა გაუქმდეს არჩევნების მაჟორიტარული სისტემა. 2. უნდა ჩამოვყალიბდეთ, როგორი უნდა იყოს პროპორციული სისტემა. ჩვენი მთავარი ამოცანაა, ყველა ერთ პრინციპზე შევჯერდეთ და ეს საუკეთესო ვარიანტი იქნებოდა.

— ვინ შედის ამ სამუშაო ჯგუფში?

— ამ საქმის ორგანიზება პრეზიდენტის აპარატის უფროსს, დავით პატარაიას დაევალა. ასევე ჯგუფში იქნება 3-4 ლიდერი ინტერპარტიულიდან, ალბათ მათ შორის მეც და რამდენიმე წარმომადგენელი არასამთავრობო ორგანიზაციებიდან. შევთანხმდით პრინციპებზე და პირდაპირი წესით არჩეული პრეზიდენტის ეგიდით, დამუშავდება პროექტი, რომელსაც „ოცნებას“ საბოლოოდ შევთავაზებთ — ყველას სახელით უკვე პრეზიდენტი ისაუბრებს!

— ვერ გავიგე, პრეზიდენტი უკვე ფორმალურად გადავიდა ოპოზიციაში?

— რატომ?! ასე არ ვიტყოდი! პრეზიდენტის გარდა, ჩვენს მემორანდუმს პარლამენტის თავმჯდომარემაც მოაწერა ხელი. უსუფაშვილმა ისიც თქვა, ჩავთვლი, რომ ჩემი პოლიტიკაში ყოფნა ღირდა, თუ ამ საკითხებს შევცვლითო. მაშინ ვინაა ის, ვინც ამ ცვლილებებს ხელს უშლის, ანუ ვინ ვისი ოპოზიციაა? ბიძინა ივანიშვილია ქართველი ხალხის ოპოზიცია?!

— მგონი, აქ კოდექსი უკანა პლანზე გადადის და მართლა მწიფდება მეორე ფლანგი, სადაც პრეზიდენტს, არასაპარლამენტო ოპოზიციასა და ნაციონალებს ერთად ვიხილავთ. ასეა? საინტერესოა, ამ სამუშაო ჯგუფში ნაციონალებიც იქნებიან?

— ე.ი. ნაციონალების დროს, როცა ვინმე მათზე ცუდს ამბობდა, გაიძახოდნენ, რუსეთის აგენტები არიან და მათი პირით კრემლი გველაპარაკებაო. ახლა ყველა, ვინც ხელისუფლებას უპირისპირდება, ნაციონალია?! შეიძლება, იმ პარტიებს, ვინც ახლა თქვენ ჩამოთვალეთ, ეკონომიკურ, სოციალურ და სხვა საკითხებზე განსხვავებული ხედვა აქვთ, მაგრამ როცა ყველა ეს განსხვავებული პოლიტიკური ძალა ერთხმად ამბობს, რომ საარჩევნო კოდექსი შესაცვლელია, ეს უკვე პოლიტიკას ცდება და ჩანს, რომ ქვეყანაში ღირებულებათა კრიზისია. როგორ შეიძლება, ჩვენ და ნაციონალები ერთად ვიყოთ? მაგრამ ამ სამუშაო ჯგუფში ყველა, მათ შორის, ნაციონალური მოძრაობაც მოიაზრება. ვფიქრობ, ამ საქმეში ჩაერთვება კახა კოჟორიძე პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან, რომელსაც საარჩევნო საკითხებში დიდი ცოდნა და გამოცდილება აქვს. ამ ჯგუფში მოიაზრებიან თავისუფალი დემოკრატები და რესპუბლიკელებიც, თუმცა უსუფაშვილმა მემორანდუმზე ხელი პარლამენტის თავმჯდომარის სახელით მოაწერა. ნაციონალებიდან კი ამ სამუშაო ჯგუფში ის ადამიანები მოხვდებიან, ვისაც საარჩევნო საკითხები ყველაზე კარგად ესმის.

— ხათუნა გოგორიშვილი და მიხეილ მაჭავარიანი?

— დიახ, მათ ძალიან კარგად იციან ყველა დეტალი და ე.წ. გასაძვრომი, რადგან საარჩევნო კანონები მათი შექმნილია. ახლა ასე კონკრეტულად ვერ გეტყვით, შესაძლოა, სხვაც იყოს ან ეს ხალხი სულაც არ მოგვწონდეს, მაგრამ ისინი პროფესიონალები არიან და ამას ვერავინ უარყოფს. მეტიც, ნაციონალებმა სწორი პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღეს და თქვეს — თქვენ ოღონდ რამეზე შეთანხმდით და ჩვენ თანახმა ვიქნებითო. დღევანდელ ვითარებაში ისინი მათ მიერვე შექმნილ კანონზე ველარ ამბობენ, კარგიაო და ჩვენ გვეთანხმებიან.

— მგონი, უკვე საარჩევნო ბლოკის კონტურებიც იკვეთება...

— არ მგონია, მაგრამ თუ საქმე აქამდე მივიდა, მაშინ გამოდის, ქვეყანაში ისევ არასწორად მიდის პოლიტიკური პროცესი. ღმერთმა ნუ ქნას, ისევ ორპოლუსიანი საარჩევნო არენა მივიღოთ, თუმცა ჯერჯერობით, საქმე აქეთ მიდის. იმედია, „ოცნებაც“ მოგვისმენს, რადგან ჯერ ერთი, შესაძლოა, მინისტრთა კაბინეტიც შეიცვალოს, მთავრობის ეს ცვლილება კი, ალბათ, გარკვეულ გავლენას ჩვენს მიერ დაწყებულ საარჩევნო პროცესებზეც მოახდენს. ახალი კაბინეტი უფრო გაითვალისწინებს, რა მოთხოვნებს დააყენებს მის წინაშე ხალხი, ჩვენი მიზანი კი ისაა, ამ მოთხოვნათა დღის წესრიგში საარჩევნო კანონის შეცვლაც შევიდეს. თანაც, უკვე ირაკლი კობახიძეც ამბობს, ინტერპარტიულ ჯგუფს ზაფხულამდე შევხვდებითო — ის უკვე შეხვდა ჯონდი ბაღათურიას, რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციას, ექსპერტს, მათ შორის, ხათუნა ლაგაზიძეს. პარალელურად, ოპოზიცია რამდენიმე აქციას გეგმავს. შევარდნაძის გადაგდების ხათრით, სააკაშვილს დიდხანს ვუთმინეთ და მერე ის გაგვიხდა გადასაგდები. ახლა, მისი გადაგდების ხათრით, ბიძინა ივანიშვილს ვუთმენთ. 26 მაისს აღლუმი რომ არ ტარდება, ძალიანაც კარგი, რადგან საქმე სააღლუმოდ არ გვაქვს. სამაგიეროდ, ჩვენ ჩავატარებთ აქციას ივანიშვილის შუშის სასახლესთან. ეს არ იქნება პროტესტი პიროვნულად ივანიშვილის წინააღმდეგ. ეს არის ჩვენი საპროტესტო აქცია უნიათო ხელისუფლების წინააღმდეგ, რომლის სათავეში, რეალურად, ივანიშვილი დგას. 26 მაისს ივანიშვილის ბიზნესცენტრთან „გადაგდებული“, მოტყუებული და იმედგაცრუებული ხალხის აღლუმი ჩატარდება! ჯერჯერობით, 4 პოლიტიკური ჯგუფი ვართ — კახა კუკავა, ქრისტიან-დემოკრატები, რეფორმატორები და ღლონტი და ზურაბ ხარატიშვილის პარტია.

— ვის დააჯერებთ, რომ ეს იდეა პრეზიდენტთან შეხვედრისას არ მოგივიდათ?

— ვისაც რა უნდა, ის დაიჯეროს. კიდევ ერთს გეტყვით — მართალია, ამაზე დახურულ ფორმატში ვიმსჯელეთ, მაგრამ არ თქმულა, ეს ამბავი არსად გავიდესო: არსებობს მოსაზრება, რომ რაღაც რაღაცაში უნდა გაიცვალოს და საუბარია საკონსტიტუციო ცვლილებებზე. იყო ირიბი წინადადება, პრეზიდენტი პირდაპირი წესით კი არა, პარლამენტმა აირჩიოს.

— ამ იდეას ვინ რაში ცვლის, ეს ხელისუფლებამ შემოგითვალათ?

— ეს ირიბი ფორმით გაჟღერდა და შესაბამისი მინიშნებებიც გაკეთდა: ხელისუფლება ამბობს, მარტო საარჩევნო ნაწილის გამო კონსტიტუციას ვერ შევცვლითო. საუბარია, ცვლილებების უფრო დიდ პაკეტზე, მათ შორის, ალბათ, პარლამენტის თბილისში გადმოტანაზე, პრეზიდენტის პარლამენტის მიერ არჩევაზე. მოკლედ, ეს „ოცნებისგან“ ძალიან პრიმიტიული ვაჭრობაა, ამას ნაციონალებიც კი არ აკეთებდნენ. ეს კი ყველაზე ახალგაზრდა და გამოუცდელმა ლიდერმა, ირაკლი კობახიძემ გააჟღერა. რაკი ასეთი რამ საერთოდ გაჟღერდა, ე.ი. ასეც აწყობდათ და ზოგადად, ბიძინა ივანიშვილს ერთი კარგი თვისება აქვს — რასაც ფიქრობს, იმას ამბობს და რასაც ამბობს, იმას აკეთებს.

— დავაზუსტოთ, „ოცნებიდან“ შემოგითვალეს, რომ მაჟორიტარული წესის გაუქმება იცვლება პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევის გაუქმებაში?

— ასე გამოდის. ეს შეიძლება პაკეტშიც ჩაიდოს და ცვლილებათა ამ პაკეტს მხარს უკვე მაჟორიტარებიც დაუჭერენ. ეს ინფორმაცია პრეზიდენტსაც ექნება. ჩემი აზრით კი, თუ ასე მოხდა, კიდევ ერთხელ ქართველი ხალხის დაცინვა იქნება.

— ერთი ის ვერ გავიგე, ცოტა ხნის წინ ამბობდით, ვიშლებითო და ახლა ინტერპარტიულ ჯგუფს რამდენი გეგმა ჰქონია — ახალი სიცოცხლე პრეზიდენტმა შთაგბერათ?

— ჩაბეტონებულები ვიყავით, მაგრამ ბოლოს ავფართხალდით. ახლა ეს პროცესი ისეა დაძრული, გულითაც რომ მოინდომოს ვიღაცამ, ამის გაჩერება დღეს შეუძლებელია. გულით მინდოდა, ეს ჯგუფი დაშლილიყო, შეხვედრებზეც იშვიათად დავდიოდი, ძირითადად, ძველი მეგობრები ვნახულობდით ერთმანეთს და ეს იყო, მაგრამ საქმე არ იძროდა, რადგან მეორე, გადაწყვეტილების მიმღები მხარე არ არსებობდა. ახლა კი რაღაც შანსები გამოჩნდა, მაგრამ ცაიტნოტში ვართ. მთავარია, სექტემბრის ბოლოს, „ოცნებამ“ არ გვითხრას, ვერაფრის შეცვლას ვასწრებთო. შემოდგომა უკვე ბოლო ვადაა. ეს მოძრაობა კი გაცილებით ადრეც უნდა გააქტიურდეს. ეს კონფერენცია მაისის შუა რიცხვებში ან თვის ბოლოს მაინც უნდა ჩატარდეს და ხელისუფლებას ოფიციალური შეთავაზება გავუკეთოთ. ამის მერე კი ეს მოძრაობა, შესაძლოა, დარბაზებიდან ქუჩაშიც გადავიდეს. შესაძლოა, აქციებში პრეზიდენტმა მონაწილეობა ვერ მიიღოს, მაგრამ ოპოზიციას მისი სოლიდარობა ექნება.

ვერსიანიუსი

შსს-ს აკადემიაში მედიის წარმომადგენლებისთვის სემინარი ტარდება

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში, შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ორგანიზებით, მედიასაშუალებების წარმომადგენლებისთვის ორდღიანი სემინარი ტარდება. სემინარის დაწყებამდე ჟურნალისტებს შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ნინო გიორგობიანი და შსს-ს აკადემიის რექტორი ნუკრი გელაშვილი მიესალმნენ.

მედიასემინარი მიზნად ისახავს ჟურნალისტების ცნობიერების ამაღლებას საპოლიციო განათლების საკითხებში და მათთვის ინფორმაციის მიწოდებას შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის, სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამების და პოლიციის თანამშრომლების პროფესიული მომზადების შესახებ; მსგავსი სემინარი მედიასაშუალებების წარმომადგენლებისათვის პირველად ტარდება.

სემინარი თეორიული და პრაქტიკული ნაწილებისგან შედგება. სწავლების თეორიული ნაწილი მოიცავს პრეზენტაციებს ისეთ თემებზე, როგორიცაა: პერსონალური მონაცემები, როგორც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების მნიშვნელოვანი კომპონენტი; შეკრებისა და მანიფესტაციების თავისუფლების, დისკრიმინაციის აკრძალვა და ჟურნალისტის დაცვის სამართლებრივი გარანტიები; ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის საკითხები. ასევე ჩატარდება პრაქტიკული სავარჯიშოები. სემინარს უძღვებიან აკადემიის პროფესიული მომზადების სამმართველოს საპატრულო პოლიციის ფაკულტეტის უფროსი ინსპექტორი ივანე ხაჟალია და აკადემიის ადმინისტრაციის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი ნინო საგინაშვილი.

სემინარის მეორე დღეს ჟურნალისტები გაეცნობიან პრეზენტაციას თემაზე „სწავლება შსს-ს აკადემიაში“, რომელსაც აკადემიის პროფესიული მომზადების სამმართველოს საპატრულო პოლიციის ფაკულტეტის უფროსი ნოდარ სააკაშვილი წარადგენს. პრეზენტაცია მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: პროფესიული და აკადემიური სწავლებები შსს-ს აკადემიაში, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები, მიღების პროცედურები, ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობა.

პრეზენტაციის დასასრულს გაიმართება შსს-ს არქივში დაცული უნიკალური მასალების გამოფენა, რის შემდეგაც, სემინარის მონაწილეები დაათვალიერებენ აკადემიას — კომპიუტერულ აუდიტორიებს, ბიბლიოთეკას, ინგლისური ენის ცენტრს, იმიტირებულ სასამართლო დარბაზს, კრიმინალისტიკურ კაბინეტს, საერთო საცხოვრებელს, სპორტულ დარბაზებს, აუზს, რეალურ და ვირტუალურ ტირს.

სემინარის დასასრულს, ყველა მონაწილეს სერტიფიკატი გადაეცემა.

„ვერსიანიუსი“

ირინა ხაკამადას მასტერკლასი ქართველ პოლიტიკოსებს

რას გვირჩევს ოკუპირებული ტერიტორიების დასაბრუნებლად, რას ფიქრობს პუტინზე და დაბრუნდება თუ არა პოლიტიკაში რუსი საზოგადო მოღვაწე

ოთარ ჟირია

ირინა ხაკამადამ თბილისში ბიზნესტრენინგები ჩაატარა, მანამდე კი ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ს ექსკლუზიურ ინტერვიუში იმ შთაბეჭდილებებზე ესაუბრა, რომელიც თანამედროვე საქართველოში სტუმრობისას შეექმნა. „ვერსია“ გთავაზობთ ინტერვიუს სრულ ვარიანტს, სადაც რუსი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწე, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, მწერალი, რადიო და ტელეწამყვანი, რუსულ პოლიტიკაზეც საუბრობს, იმასაც გვირჩევს, როგორ დავიბრუნოთ აფხაზეთი და სამაჩაბლო და ქართველი პოლიტიკოსების ფსიქოპორტრეტებსაც ადგენს.

— ჯერ კიდევ ბავშვობიდან მახსოვს თქვენი ეფექტური გამოჩენა პოლიტიკურ სიბრტყეზე. გაქვთ გამორჩეული სტილი, რომელიც არაფრით ჯდებოდა იმ პერიოდის პოსტსაბჭოურ კონტექსტში. ეს თქვენი სტილია თუ ამით, უბრალოდ, ყურადღება მიიქციეთ?

— რა თქმა უნდა, ეს ჩემი სტილია. ყოველთვის იმას ვაკეთებდი და ვაკეთებ, რაც მინდა. თუმცა, ეს პრობლემადაც იქცა პოლიტიკურ კარიერაში.

— ასეთი სახასიათო და იმ დროისთვის უცნაური სათვალე და ვარცხნილობა სად შეარჩიეთ?

— როცა გაირკვა, რომ არჩევნებში მოვიგე და პარლამენტში გავედი (1993), გადავწყვიტე, იმიჯი შემეცვალა. სტილისტმა ეს ხელის ერთი მოსმით გააკეთა. თავიდან შოკში ვიყავი, მაგრამ მომეწონა, რადგან ჩემ პიროვნებას კარგად გამოხატავდა და უსიტყვოდ დავთანხმდი. როცა სახლში მივედი და სარკეში ჩავიხედე, მივხვდი, ასეთი ანტურაჟი კაბასთან ვერ შეთავსდებოდა. შესაბამისად, საჭირო გახდა ცოტა „ბიჭის“ შემოტანა ჩემს ვიზუალში.

— 20 წელზე მეტი გავიდა ამ გამოჩენიდან. ირინა ხაკამადა ისევ „ბიჭია“ თუ შეიცვალა?

— დღეს ბიჭიცაა და გოგოც. თუმცა ბიჭი მაინც ჭარბობს.

— ეს „ბიჭი“ უკვე ბიზნესტრენერია, რომელსაც არა მხოლოდ პოსტსაბჭოთა სივრცეში, არამედ ევროპაშიც გულმოდგინედ უსმენენ. კონკრეტულად რას ეძღვნება თქვენი ტრენინგპროგრამები?

— ეს მასტერკლასებია. ტრენინგის წაყვანა მაშინაც შეგიძლია, თუ სხვისი წიგნი ან თეორია გაქვს წაკითხული. მასტერკლასი კი მთლიანად შენს გამოცდილებაზეა აგებული. სწორედ ამ პრინციპით დავიწყე და მალევე ჩემი მასტერკლასები ძალიან პოპულარული გახდა. ეს მიმართულება მომეწონა, რადგან დავინახე, რომ მიზანი იგივეა, რაც პოლიტიკაში — ქვეყნის შეცვლა. რუსეთში ეს, პოლიტიკური ინსტრუმენტების მეშვეობით, შეუძლებელი აღმოჩნდა. ამ სფეროში კი დავინახე, რომ შემიძლია ადამიანების შეცვლა და ამით ახალი თაობის გაზრდა, რომელსაც პროფესიონალი და თავისუფალი ადამიანები შეავსებენ.

— ეს პირველი ბიზნესტრენინგია თბილისში. რა უნდა ასწავლოთ ქართველებს?

— ეს იქნება ბიზნესტრენინგი „ფორბსის“ კლუბის წევრებისთვის. ქართული „ფორბსის“ გამომცემლები იმასაც დამპირდნენ, რომ ახლოს გავეცნობი დღევანდელ საქართველოს. ბოლოს თბილისში 1991 წელს ვიყავი, ბოროვოისთან ერთად, როგორც ბირჟის წარმომადგენელი.

— მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა?

— აბსოლუტურად ყველაფერი შეცვლილია. ლამაზი ტრადიციები და სულისკვეთება, რაც არქიტექტურაშიც კარგად ჩანს, შენარჩუნებულია, თუმცა დღეს თბილისი ძალიან თანამედროვე ქალაქია.

— თქვენი ცნობილი სასწავლო პროგრამის გათვალისწინებით, გვირჩიეთ ქართველებსაც, როგორ შეუთავსოთ ერთმანეთს დრაივი, „კაიფი“ და კარიერა.

— არის ფორმულა, რომლის გამოყენებაც 1991 წელს დავიწყე: აკეთე ის, რაც მოგწონს; აკეთე პროფესიონალურად ის, რომ მიიღო იმდენი თანხა, რაც გჭირდება პირველი პუნქტისთვის; აკეთე იმ ხალხთან ერთად და იმ ხალხისთვის, ვინც მოგწონს.

— თუ ამ ფორმულას პოლიტიკურ კარიერაში წარმატებით იყენებდით, რატომ დატოვეთ პოლიტიკა?

— ზუსტად იმიტომ, რომ დროთა განმავლობაში ფორმულის გამოყენება რუსულ პოლიტიკაში შეუძლებელი გახდა. როცა საპრეზიდენტო კამპანია დავასრულე, გადავწყვიტე, პარტია დამეფუძნებინა იმ ხალხთან ერთად, ვინც მხარს მიჭერდა. ერთი წლის შემდეგ მივხვდი, რომ არაფერი გამოვიდოდა, რადგან ოპოზიციაში გაერთიანების სურვილი არავის აღმოაჩნდა. ყველას უზარმაზარი ამბიცია ჰქონდა, ანუ ერთიანი ძალა ვერ შეიკრა. მე არასოდეს მეშინოდა ძალაუფლების, მაგრამ მას რომ წინ აღუდგე, თავად გჭირდება ძალა. ეს ძალა კი შეუძლებელია, ერთ ადამიანში იყოს კონცენტრირებული, მით უმეტეს, როცა დემოკრატიული ოპოზიციის ამბიცია გაქვს. ეს არ შეიძლება იყოს „ვოჟდიზმი“. ეს უნდა იყოს ლიდერობის ინსტიტუტი, რომელშიც ყველა თანასწორია. რუსულ ოპოზიციაში ასეთი დონის პროფესიონალიზმი არ მოიძებნა, რაც ნიშნავდა, რომ მეც კრახისთვის ვიყავი განწირული. გამიფუჭდა ხასიათი. დამეკარგა „კაიფი“. როცა ამას ვკარგავ, ვიცლები სასიცოცხლო ენერგიისგან. ასეთ დროს კი ტვინი ვეღარ მუშაობს. როცა ტვინი ვერ მუშაობს ზედმეტია საუბარი პროფესიონალიზმზე და მივხვდი, რომ უბრალოდ უნდა წავსულიყავი.

— თუ რუსეთში დემოკრატია საერთოდ არსებობს, მისი სიმბოლო თქვენ ბრძანდებით — ასეთია შეხედულება თქვენი პერსონისადმი საქართველოში. სამშობლოში რას ფიქრობენ თქვენზე?

— დამოკიდებულება ჩემდამი განსხვავებულია, რადგან პირდაპირი პიროვნება ვარ და არასოდეს ვმალავ, რასაც ვფიქრობ, ნაწილს ძალიან ვუყვარვარ, ნაწილს კი ვეზიზღები. ასეთები არიან ნაციონალისტები, კომუნისტები, ის ხალხი, ვისაც არ ეთმობა საბჭოთა დროება. ორგანულად ვერ მიტანენ ისინი, ვისაც მიაჩნია, რომ დღეს მთავარი გეოპოლიტიკა გახლავთ. არადა, ვფიქრობ, რომ მთავარი საკუთარი ქვეყნის განვითარებაზე კონცენტრირებაა. გეოპოლიტიკა დღეს აზიანებს ყველას და ვხედავთ, რომ მსოფლიო ტურბულენტურ მდგომარეობაშია, ვინაიდან სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები და სახელმწიფოები ახლო აღმოსავლეთში თუ სხვაგან, იგივე აზერბაიჯანსა და სომხეთში, მხოლოდ ამაზე ფიქრობენ. ჩემი აზრით, ცივილიზაცია უკვე ჩიხშია.

— შეიძლება მესამე კატეგორიაც დავამატოთ — ისინი, ვისაც ეშინია? მაგალითად, პუტინი თქვენდამი განსაკუთრებული აგრესიით არ გამოირჩევა. ეს მაშინაც გამოჩნდა, როცა საკმაოდ მკვახე კითხვები დაუსვით ბოლო საჯარო ინტერვიუზე. მგონი, ბოლომდე არც გიპასუხათ...

— **ამ** საქმეში უკვე იმხელა გამოცდილება მაქვს, ზუსტად ვიცი, რას უპასუხებს. მთავარი, რაც მაინტერესებს, მისი რეაქციაა. ეს საკითხის პერსპექტივის გამოთვლაში მეხმარება. თუ ვერ გავთვალე, არც ესაა ტრაგედია, რადგან მინიმუმ ის მაინც მიღწეულია, რომ დემოკრატიული წნეხი ერთპიროვნულ მმართველობის სისტემაზე ოდნავ მაინც გაიზარდა. რაც შეეხება მომართვის ფორმებს, ვერ იქნება აგრესიული — ასეთი რამ არც მე გამიკეთებია, მაშინაც კი, როცა კენჭს ვიყრიდი. პრეზიდენტის ინსტიტუტს ვუყურებ არა როგორც პიროვნებას, არამედ როგორც სისტემას და ამდენად მას პატივს ვცემ.

— პოლიტიკაში დაბრუნებაზე არ ფიქრობთ?

— არა...

— ხომ არ გეშინიათ, იგივე არ მოხდეს, რაც ბორის ნემცოვს დაემართა?

— არა, რა თქმა უნდა. ნორდ-ოსტში ვიყავი, ამის მერე რამის შეიძლება შეგეშინდეს?

— ნემცოვის მკვლელობას უწოდეთ პოლიტიკური ტერორის დონის პროვოკაცია. ეს ტერმინი რას ნიშნავს?

— ეს ნიშნავს, რომ იყო დამკვეთი.

— ერთ-ერთ რადიოდისკუსიაში ახსენეთ, რომ რუსეთში დღეს ატიპური კრიზისია. „ატიპური კრიზისი“ რაღას ნიშნავს?

— იყო 1998 წლის კრიზისი, ანუ დეფოლტი; იყო 2008 წლის კრიზისი, რომელმაც რუსეთი უკვე გლობალურ ეკონომიკურ კრიზისში ჩაითრია. ორივე კრიზისიდან რუსეთი ლოგიკურ ვადებში გამოძვრა და ისიც გასაგები იყო, რა ინსტრუმენტებით, მაგრამ დღეს არსებული ვითარება კომპლექსურია. გვაქვს სტრუქტურული, პოლიტიკური, მართვის და ეკონომიკური კრიზისის ერთობლიობა. ის გამოწვეულია არა მხოლოდ შიდაეკონომიკური, არამედ საგარეო გართულებებითაც. ეს არის კრიზისი უკრაინასთან, სანქციები, ანტისანქციები, ბლოკადა, ასევე კონკურენციის გამწვავება გაზისა და ნავთობის ბაზრებზე. ასევე პოლიტიკური პრობლემები.

— ან სიაში ნემცოვის ტრაგედია შედის?

— რა თქმა უნდა შედის. მიმაჩნია, რომ ყველა შემთხვევითობა კანონზომიერია. როცა ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეს ასე ცხოველურად კლავენ, თანაც ადგილზე, რომელიც კრემლსა და ეკლესიას შორის მდებარეობს, ეს ნიშნავს, რომ საქმე გვაქვს მძიმე პოლიტიკურ გათიშულობასა და კონფლიქტთან რუსეთის შიგნით. როგორც წესი, მწვავე საინფორმაციო ომსა და რადიკალიზაციას, გარკვეული ძალები მიჰყავს იმ დასკვნამდე, რომ შეუძლიათ ყველაფერი მოიმოქმედონ ე.წ. მეხუთე კოლონის წინააღმდეგ.

— ალბათ ეჭვი ან პირადი მოსაზრება გაგაჩნიათ, ვინ შეუკვეთა მკვლელობა?

— **გულწრფელად** გეტყვით — არ მაქვს. ვთვლი, რომ შიდაქვეყნო პრობლემაა, რადგან ამ ტერორისტული აქტის ჩამდენს, აშკარად, რუსეთში დესტაბილიზაცია სურს. არ დაგავიწყდეთ, ეს ზუსტად იმ მომენტში მოხდა, როცა ნორმანდიული ფორმატის ჩარევით, მოსკოვსა და კიევს შორის ურთიერთობების ნორმალიზების შანსები გაჩნდა. არ გამოვრიცხავ, ეს თავად რუსეთის ხელისუფლების შიგნით სურს ვინმეს და სწორედ ამიტომ ვუწოდე ტერაქტს პროვოკაცია.

— დღეს ბევრი საუბრობს ე.წ. სოფთ ფაუერის, ანუ რბილი ძალის ტაქტიკაზე, რომელიც რუსეთმა უკრაინაში გამოიყენა. ამბობენ, რომ მალე იგივე ელის ბალტიის ქვეყნებსა და საქართველოსაც. შეიძლება ამ მოსაზრების დაჯერება?

— რა თქმა უნდა, არა. ყირიმი პუტინმა ხელში შემთხვევით ჩაიგდო. უკრაინამ ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა. მაიდნის დროს და შემდგომაც, უკრაინაში უნდა ეფიქრათ იმაზე, რომ არსებობს რუსულენოვანი ხალხით დასახლებული ყირიმი, რომელიც ე.წ. რბილ ოპოზიციაში კიევთან ყოველთვის იყო. უნდა გაეთვალისწინებინათ ასევე ისიც, რომ დონბასიც რუსულად საუბრობს და კიევის მიდგომებს დონეკცი მეტწილად ეთანხმება. უკრაინას უნდა ეფიქრა იმაზე, რომ მაიდნის დროს ნაციონალისტების განცხადებებს აუცილებლად მოჰყვებოდა გართულება. უნდა ეფიქრათ იმაზეც, რომ, რა თქმა უნდა, რუსეთი ამას გამოიყენებდა.

— ფიქრობთ, მოსკოვს ეს დაგეგმილი არ ჰქონდა?

— არა. მოსკოვს ეს არ დაუგეგმავს. მოსკოვი გაბრაზდა, რომ ევროპამ და დასავლეთმა უკრაინას აღმოსავლეთ პარტნიორობა ისე შესთავაზა, არაფერი ჰკითხა რუსეთს. რუსეთსა და პუტინს ყოველთვის სწყინდა, რომ მათ რეგიონულ მოთამაშედ არ განიხილავენ.

— ეს ვიღაცის პიროვნული კომპლექსია თუ საკითხი ასე დგას, რომ რუსეთს არ აწყობს უკრაინისა და იგივე საქართველოს ევროპასთან ასოცირება?

— აღმოსავლეთ ევროპა და ბალტიის ქვეყნები შევიდნენ ევროგაერთიანებაში, მაგრამ პრობლემა არ ყოფილა. უბრალოდ, ფორმალურად მაინც უნდა მიეწვიათ რუსეთი ამ მოლაპარაკებებზე. არ დაგავიწყდეთ ისიც, რომ ეს ყველაფერი მარტო ერთი მხარის ბრალი არ არის და როგორც წესი, ყველა ქვეყანა, კრიზისს, გარეძალებს აბრალებს. მე, როგორც ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, რომელსაც საფუძვლიანად აქვს ნასწავლი პოლიტეკონომიკური ფაქტორები ახლო წარსულში, გარწმუნებთ — პრობლემა ყოველთვის იწყება შიგნიდან.

დასასრული მე-6 გვერდზე

ვერსიანიუსი

ქრთამის აღების ფაქტზე ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და მშენებლობაზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქრთამის აღების ფაქტზე, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის, არქიტექტურისა და მშენებლობაზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი არუთუნ ირიციანი დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ არუთუნ ირიციანმა თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების შესრულებისას, შესაბამისი სამშენებლო ნებართვის გაცემამდე, მოქალაქეს სამშენებლო სამუშაოების დაწყების უფლება მისცა, რის ნაცვლოდაც, ქრთამის სახით მოსთხოვა და აიღო 1200 აშშ დოლარი. სამართალდამცველებმა არუთუნ ირიციანი ბრალდებულის სახით დააკავეს.

გამოძიება ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც სასჯელის სახით 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს). გამოძიებას შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.

„ვერსიანიუსი“

თამარ ლომსაძე
599-20-94-01

რა ხდება გალში? — აფხაზები და ქართველები ერთნაირად უუფლებონი არიან...

რატომ

გამკაცრდა კონტროლი „საზღვარზე“, ვერ გადიან ახალგაზრდები 6 საათის მერე ქუჩაში, ასწავლიან მეხუთე კლასამდე მეგრულად მღერიან აფხაზი ჯარისკაცები ქართულ სიმღერებს

დღეს ჯგუფ „ვაკის პარკში“ მღერის, ეამაყება, რომ 17 წლიდან უმაღლეს განათლებას თბილისში იღებს და პარალელურად, საყვარელი საქმის კეთების საშუალებაც აქვს, თუმცა ყველაზე მეტად მაშინაა ამაყი, როცა ამბობს — „მე ვარ ნათია თოდუა, აფხაზეთიდან“. ასე დაიწყო საუბარი „ვერსიასთან“ და არაერთი საინტერესო ინფორმაციაც მოგვაწოდა იმის შესახებ, რა ვითარებაა დღეს გალში და დევნიან თუ არა ქართულ ენას...

— მე ვარ ნათია თოდუა, აფხაზეთიდან... ვცხოვრობ თბილისში, ვსწავლობ კავკასიის უნივერსიტეტში, გალის რაიონში მხოლოდ მამა დარჩა, თუმცა მალე ალბათ ისიც ჩამოვა არსებული პრობლემების გამო.

— კონკრეტულად, რა პრობლემები ექმნება ადგილობრივ მოსახლეობას?

— გალის რაიონის სოფელ ნაბაკევში ვცხოვრობდით, მაგრამ მოგვიანებით, ერთი პრობლემის წინაშე აღმოვჩნდით — ჩემს ძმას, სკოლის დასრულების შემდეგ, რუსულ ჯარში უნდა ემსახურა, რაც კატეგორიულად არ გვინდოდა... ჯერ მე და ჩემი და წამოვედით, მერე დედა და ძმა, მამა კი იქ დარჩა, თუმცა იმის გამო, რომ პასპორტი არ აქვს, სტაბილურ სამსახურს ვერ შოულობს... პრობლემებია სახლთან დაკავშირებითაც — ორი სახლი გვქონდა, მაგრამ მოსახლეობის აღწერის შემდეგ, დიდი ალბათობა იყო, ერთი სახლი წაერთმიათ, ამიტომ გავყიდეთ... ალბათ მეორე სახლზეც შეიქმნება პრობლემები — თუ იქ არავინ იცხოვრებს, ჯარიმის სახით, გარკვეული თანხის გადახდა მოგვიწევს, რომ არ მიიტაცონ.

— ასე უცერემონიოდ ართმევენ ბინებს?

— თუ იქ არ ცხოვრობ, ან თბილისსა თუ ზუგდიდში სწავლობ, უფლება არ გაქვს, ფლობდე უძრავ ქონებას და ვერც ვერაფერზე გამოთქვამ პრეტენზიას.

— გალი ე.წ. ნეიტრალურ ზონად მიიჩნეოდა. გამოდის, ეს სტატუსი აღარ აქვს...

— 2012 წლამდე ნორმალური ვითარება იყო... მართალია, ჩემი სოფელი საზღვართან ახლოსაა და გამუდმებით აკონტროლებდნენ, თუმცა ჩასვლას მაინც ვახერხებდი, რაშიც მთელი სოფელი გვეხმარებოდა, მიუხედავად იმისა, რომ პასპორტი არც მე მაქვს. ახლა კი კონტროლი ძალიანაა გამკაცრებული. 24 საათი დარაჯობენ, თუ გაგიმართლა და ჯარისკაცებმა ვერ შეგამჩნიეს, ძაღლებს გადაეყრები, რომლებიც მათზე ბევრად საშიშები არიან... არც ჯარისკაცების შემჩნევაა ადვილი, ისე არიან შემოსილები, სანამ წინ არ გადაგეღობებიან, ვერც დააფიქსირებ და თუ გაიქცევი, უფლება აქვთ, გესროლონ...

იყო ასეთი შემთხვევა: ავად გავხდი და აუცილებელი გახდა ჩემი თბილისში ჩამოყვანა... დაბრუნებისას, მამამ გაგვაფრთხილა, გამკაცრებულია კონტროლი და ფრთხილად იყავითო. საზღვართან დაგვხვდა და გვანიშნა, გზა თავისუფალიაო, მაგრამ უეცრად, ჩემს უკან რამდენიმე ჯარისკაცი აღმოჩნდა. დაგვიჭირეს მე და დედა და ცალკე გამოყოფილ ოთახში ერთი დღე-ღამე გვამყოფეს. შემდეგ სოფლიდან მოვიდა თავმჯდომარე, აუხსნა ვითარება და ჯარიმის გადახდის შემდეგ, გაგვათავისუფლეს.

— ჯარიმა რამდენი გადაიხადეთ,შეურაცხყოფა ხომ არ მოგაყენეს?

— ჯარიმა სამოც ლარამდე იყო... შეურაცხყოფა არ მოუყენებიათ იმიტომ, რომ გვცნობდნენ, იცოდნენ, იქ ვცხოვრობდით... თუ ნაცნობი არ ხარ, ნამდვილად არ ვიცი, ასეთ დროს რა ხდება — ალბათ, ჯარიმასთან ერთად, რამდენიმე დღით აჩერებენ.

— ქართულ ენასთან დაკავშირებით, ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები ვრცელდება. იქნებ გვითხრა, რა ხდება რეალურად?

— მოსწავლეებმა, ვისთანაც კონტაქტი გვაქვს, მითხრეს, რომ სკოლებში მეხუთე კლასამდე მეგრულად ნათარგმნი „დედა ენით“ ასწავლიან, შემდეგ კი სწავლას რუსულად განაგრძობენ. ეს ნიშნავს, რომ იქ სკოლადამთავრებულს ნორმალურ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელების საშუალება არ ექნება, ამ დროს სოხუმის უნივერსიტეტი საშუალო განათლებასაც ვერ იძლევა... წარმოდგენაც მიჭირს, რა იქნება მეგრულად ნათარგმნი „დედა ენა“...

— სოციალურ ქსელში ხშირად ვრცელდება ადგილობრივი ახალგაზრდების ფოტოები, წარწერით — „აფხაზეთი საქართველოა“... ფიქრობ, მსგავსი აქტივობა, ან თუნდაც ენგურთან ჩატარებული კონცერტები რამეს შეცვლის?

— ამაზე ყოველთვის ვფიქრობ... ასეთი ღონისძიებები დიდი სტიმულია იქაური ახალგაზრდობისთვის. ეს წინგადადგმული ნაბიჯია იმიტომ, რომ ისინი მოწყურებულები არიან ყველაფერ მსგავსს.

იქაური რეალობა მკაცრია — ექვსი საათის შემდეგ ჩემი თანატოლები ქუჩაშიც ვერ გადიან, ეშინიათ და ამ ფონზე, არანაირი შანსი არ არსებობს, მომავალზე იფიქრო... თუკი რაიმე კონცერტი ტარდებოდა, აფხაზი და ქართველი ბავშვები ერთად მივდიოდით და ამ სიხარულსაც ერთად განვიცდიდით... სწორედ მომავალი თაობა გრძნობს ჩვენი ხალხის ერთად ყოფნის აუცილებლობას, მათ თბილისი ზღაპრულ ქალაქად აქვთ წარმოდგენილი.

— თქვი, საღამოს ქუჩაში ვერ გახვალო... კომენდანტის საათი მოქმედებს?

— ოფიციალურად გამოცხადებული არაა, მაგრამ ჯარისკაცები ყოველ ნახევარ კილომეტრში დგანან, გამოწმებენ... როცა სკოლაში დავდიოდი, გამუდმებით ითხოვდნენ მოსწავლის აფხაზურ ენაზე ნათარგმნ მოწმობას, რაც მე არ მქონდა, რადგან რამდენიმე პროექტში მონაწილეობაზე უარი ვთქვი... და მიუხედავად იმისა, რომ იცოდნენ, ადგილობრივი ვიყავი, ერთი და იგივე კითხვების დასმით არ იღლებოდნენ, დაცინვას ვერ ბედავდნენ, მაგრამ სარკაზმი ყოველ სიტყვაში იგრძნობოდა.

— ადგილობრივ პროექტებში რატომ არ მიიღე მონაწილეობა, ეს პროტესტი იყო?

— რა თქმა უნდა... წინასწარ გვაფრთხილებდნენ, რომ ქართველი ბავშვის მომზადებული თემა პირველ ადგილზე სწორედ ნაციონალური კუთვნილების გამო ვერ გავიდოდა.

— ნათია, ჯარისკაცები თუ აწუხებენ ადგილობრივ მოსახლეობას?

— არ აწუხებენ... პირადად, მამასთან ბევრ აფხაზ ჯარისკაცს კარგი ურთიერთობა აქვს, სუფრასთანაც არაერთხელ მოხვედრილან ერთად და იცით, ისინი ქართულ სიმღერებს მღერიან, რაც ძალიან სასიამოვნოა. და კიდევ ერთი — საზღვარზე, უმრავლესობა რუსი ჯარისკაცია, ისინი არიან ზემდგომები. აფხაზებს არავინ აძლევს უფლებას, ვითარება აკონტროლონ. მეტიც — აფხაზები და ქართველები ერთნაირად უუფლებოები არიან!

...მაგრამ რაც უნდა მოხდეს ჩემს ცხოვრებაში, სადაც უნდა მოვხვდე, ის ტკივილი თუ სიხარული, რაც აფხაზეთში განვიცადე, არასოდეს დამავიწყდება. იქ ყველაფერს სხვანაირად ხედავ და სხვაინაირად გესმის, მიუხედავად იმისა, რომ სიბნელესა და დიდ მწუხარებაში გიწვეს ცხოვრება.

ირინა ხაკამადას მასტერკლასი ქართველ პოლიტიკოსებს

მე-5 გვერდიდან

ერთი წელი იანუკოვიჩი აცხადებდა, რომ ევროკავშირთან სავაჭრო ხელშეკრულება უნდა გაფორმებულიყო. შემდეგ უცებ რადიკალურად შემობრუნდა და გეზი რუსეთისკენ აიღო, რაც ევროპულად განწყობილ უკრაინას არ მოეწონა. დაიწყო რევოლუციური პროცესები. ასეთ დროს კი ნავთს ცეცხლს ყველა მხარე ასხამს. უკრაინა, რუსეთი, ამერიკა და ევროპა — ყველამ უზარმაზარი შეცდომა დაუშვა. ყველამ ხელი შეუწყო კონფლიქტის გაღვივებას.

— კი, მაგრამ ყველამ უკვე იცის, როგორი იყო რუსული აგრესია 2008-ში საქართველოში. ხომ შეიძლება, ამის გამო არ დაუძახეს?

— პირიქით. თუ ეს გამოცდილება არსებობს, მაშინ პირიქით უნდა იზრუნო, რომ ფორმალურად მაინც ჩართო პროცესში. მეტსაც გეტყვით, ევროპა და შტატები თავს ლიდერებად მიიჩნევენ. განსაკუთრებით ევროპა, რომელმაც, შტატებისგან განსხვავებით, დიალოგი იცის. მათ უნდა შეეძლოთ კონფლიქტის პროგნოზირება და არა მათი გამოყენება საკუთარი მიზნებისთვის.

— კარგით. როგორ უნდა მოგვარდეს მაშინ დღეს, ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის პრობლემა?

— მოდით, მითხარით: თქვენი ქვეყანა დღეს უმკლავდება ეკონომიკას? თქვენთან ვითარდება მცირე ბიზნესი? ოლიგარქული კაპიტალიზმი აღკვეთილია? ვითარდებით გამჭვირვალედ? თქვენთან არის მაღალი ხელფასები? ქვეყანა ყვავდება? არის ევროპული ფასეულობები? ეს ყველაფერი თქვენთან არის?

— მგონი, ეს ყველაფერი ხდება.

— მე კი ვფიქრობ, რომ მგონი — არა. ამიტომ, მოდით, ჯერ ეს ყველაფერი გააკეთეთ და მერე იფიქრეთ გეოპოლიტიკაზე. მესმის, ეს მტკივნეულია. ახლა გარჩევებს არ ვაპირებ, ვინაა დამნაშავე, მაგრამ...

ფაქტია, აფხაზეთსა და ცხინვალს დღეს საქართველოში არ სურთ. გააკეთეთ ისე, რომ მოუნდეთ. რომ მოუნდეთ, ამისთვის უნდა შესთავაზოთ, მაგალითად დიდძალი ფული. ყველაფერი ციინიკურია პოლიტიკაში. თუ რუსეთზე მეტ ფულს შესთავაზებთ, მომენტალურად შემობრუნდებიან თქვენსკენ. ამიტომ ჯერ ეკონომიკა ააშენეთ და მერე შესთავაზეთ. თუ საქართველო მუდმივად კონფლიქტში იქნება რუსეთთან აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ გამო, რუსეთი ისე გააკეთებს, რომ საქართველოს უამრავი ეკონომიკური პრობლემა გაუჩნდება. კი, ევროკავშირი ხელს გამოგიწვდით, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ დღეს ევროკავშირსაც ბევრი პრობლემები აქვს. ნუ იქნებით დიდი ძმების, ამერიკისა და ევროპის იმედად. ჯერ შენ გაძლიერდი და შემდეგ ელაპარაკე სხვას თანატოლის ტონში.

— 2012-ში საქართველოში მთავრობა შეიცვალა და დღეს ბევრი ამბობს, რომ შიდა თუ საგარეო კურსიც შეიცვალა. რაიმე მსგავსს თქვენც ამჩნევთ?

— თავის დროზე, სერიოზულად ვმეგობრობდი კახა ბენდუქიძესთან. იმ მოცემულობაშიც კი, როცა იგი რეფორმების ჩრდილოვან ავტორად რჩებოდა, საქართველო წინ მიიწევდა. მართალია, დიდი წვალებითა და ტრაგედიებით, მაგრამ საქართველო აშენებდა გამჭვირვალე და დემოკრატიული მმართველობისა და საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუტებს. ეს წინსვლა თვალშისაცემი იყო. დღეს არ ვიცი, საქართველო საით მიემართება. მაგრამ მომწონს, რომ მშვიდად ჩამოვფრინდი აეროფლოტით; მომწონს, რომ ქართული პროდუქცია გამოჩნდა რუსულ ბაზარზე. სააკაშვილის დროს შიგნით ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ ცუდად იყო გარეთ. დღეს კი, საგარეო ურთიერთობებში, ნელი შერბილება შეინიშნება. რაც შეეხება შიდაპროცესებს, ეს უკვე თქვენ უნდა შეაფასოთ.

— როგორც პროფესიონალს ფსიქოლოგის გამოცილებით, მიხეილ სააკაშვილის ფსიქოლოგიურ პორტრეტს ხომ ვერ დახატავთ?

— ძალიან ჭკვიანი, სწრაფი რეაქციებით და ალღოთი. ვფიქრობ, ცოტა ნარცისიზმი აწუხებს. ისე, როგორც ყველა პოსტსაბჭოთა ლიდერი, იცავს დემოკრატიას, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც აბსოლუტური ძალაუფლება სურს — ამ შემთხვევაში, დემოკრატიული ინსტიტუტებით. ამასთან, ის რომანტიკოსია. სჯერა, უმოკლეს დროშია შესაძლებელი საბჭოთა „შაგრენის ტყავის“ მოშორება და ახლის მორგება.

— შეგიძლიათ, ბიძინა ივანიშვილის ფსიქოლოგიური პორტრეტიც წარმოგვიდგინოთ?

— ჩრდილოვანი, აღმოსავლური მმართველი. სააკაშვილისგან განსახვავებით, სარგებლობს პრინციპით „ნაკლები „ფაბლისითი“ და მეტი განსჯა“. რაც შეეხება საქმეს, ეს უკვე თქვენი განსჯის საგანია. თანამედროვე საქართველოში მე პირველად ვარ.

— მოკლე დროის მიუხედავად რაც ერთმანეთს ვიცნობთ, შეგიძლიათ, ჩემს პიროვნებასაც დაუსვათ დიაგნოზი?

— პროფესიონალი. ძალიან აღზრდილი და ძალიან ჯიუტი, რომელიც სიჯიუტეს აღზრდის მიღმა მალავს.

ექსკლუზიური ინტერვიუ ისრაელის ელჩთან

იუვალ ფუქსი: „მომავალზე უნდა ვიყოთ ორიენტირებულნი და არ დავჯერდეთ მხოლოდ 26-საუკუნოვან მეგობრობას“

მაკა ლომაძე
555-27-95-13

ისრაელის დამოუკიდებლობის დღე მოძრავი დღესასწაულია, წელს 23 აპრილს აღინიშნა როგორც მის ტერიტორიაზე, ასევე მსოფლიო მასშტაბით. ეს დღე აღინიშნა საქართველოშიც, სადაც ისრაელის საელჩო, ერებს შორის, 26-საუკუნოვანი მეგობრობის დამსახურებით, 1992 წლიდან მოქმედებს. რა სიახლეებია ქართულ-ებრაულ ურთიერთობებში, რა პროექტები ხორციელდება ორ ქვეყანას შორის და რატომ ექმნებათ პილიგრიმებს პრობლემები ისრაელში შესვლისას? „ვერსიის“ კითხვებს, ისრაელის ელჩი საქართველოში იუვალ ფუქსი პასუხობს.

— როგორ აღნიშნეთ ნაციონალური დღე?

— ტრადიციული მიღებით. როგორც ყოველთვის, წელსაც, მოწვეულები იყვნენ სტუმრები მთავრობიდან, ბიზნესწრეებიდან, სამოქალაქო სექტორიდან. აქცენტი გავაკეთეთ ისრაელის კრეატიულობაზე. შარშან ძალიან ახალგაზრდა — 15 წლის ებრაელ პიანისტს ვუმასპინძლეთ. წელს, როგორც მიღებაზე, ისე სოციალურ მედიაში, ვაჩვენეთ და გავაზიარეთ კლიპები, რომლებიც მიუთითებენ ისრაელის კრეატიულობაზე, რადგან გვჯერა, სწორედ ეს აქცევს ჩვენს ქვეყანას საინტერესო, ძლიერ და ამავე დროს, სახალისო რესპუბლიკად. საუბარია შემოქმედებითობის სხვადასხვა ასპექტზე, როგორიცაა: ხელოვნება, ტექნოლოგიური სიახლეები, კომუნიკაცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ხალხთან, მუსიკა, სამხედრო სფერო... მიგვაჩნია, რომ ისრაელი ძალიან შემოქმედებითი და ახალგაზრდებისთვის სასურველი ქვეყანაა. ეს სწორედ ის სულისკვეთებაა, რომლის გაზიარების სურვილიც გვაქვს არამარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის. მხოლოდ დამოუკიდებლობის დღეს კი არა, მომავალ კვირებშიც დაგეგმილია კონცერტები და გამოფენები. ვფიქრობ, წლევანდელი პრიორიტეტი — კრეატიულობა, საინტერესო იქნება საქართველოსთვისაც, რადგან თქვენი ქვეყანაც, თავის მხრივ, ძალიან კრეატიულია. საქართველოს შეუძლია ისრაელისგან ისწავლოს, როგორ გამოიყენოს პოტენციალი, რათა უფრო მეტი რამ აწარმოოს ნებისმიერ სფეროში. სოფლის მეურნეობა იქნება ეს, ხელოვნება თუ ტექნოლოგია.

— საქართველო-ისრაელს 26-საუკუნოვანი მეგობრობა აკავშირებს. რას ნიშნავს ეს თქვენთვის?

— ყოველთვის პატივი უნდა ვცეთ იმას, რაც იყო, მაგრამ ამავდროულად, წინ ვიყუროთ. წელს, 67-ე დამოუკიდებლობის დღეს აღვნიშნავთ, რომელიც აკმაოდ ახლოსაა თქვენს ეროვნულ დღესასწაულთან. ორივე ძველი ერი ვართ, მაგრამ — ახალგაზრდა სახელმწიფოები; ორივე ქვეყანას პატარა ფართობი და მცირერიცხოვანი მოსახლეობა ჰყავს, მაგრამ სამაგიეროდ, ორივეს შეგვიძლია, თავი მოვიწონოთ ძლიერი კულტურით, ისტორიით, მეგობრობით... მგონია, ძალიან ბევრი რამის შეთავაზება შეგვიძლია ერთმანეთისთვის, რათა მეგობრებზე მეტი ვიყოთ. გავაგრძელებთ თანამშრომლობას ყველა სფეროში, რასაც საფუძველი ჩაეყარა არამარტო ბოლო წლებში, არამედ ორი ქვეყნის დამოუკიდებლობის დასაწყისიდან.

— როგორი უნდა იყოს ეს ორმხრივი ურთიერთობები, რათა, როგორც ბრძანებთ, ერთმანეთისთვის მეგობრებზე მეტი ვიყოთ?

— 17 მარტს გვქონდა არჩევნები და ჯერ კიდევ ხელისუფლების გადაბარების პროცესი მიმდინარეობს. რამდენიმე კვირაში ახალი მთავრობა მოვა სათავეში. შემიძლია გითხრათ, არაფერი შეიცვლება ჩვენს მეგობრობაში, რადგან ისრაელის ყველა პოლიტიკურ პარტიას შორის კონსენსუსია თქვენდამი კეთილგანწყობის მიმართულებით. ჩვენი მთავრობა ვადაზე ადრე გამოიცვალა. ორწელიწადნახევრის განმავლობაში, რომელიც დაახლოებით დაემთხვა „ქართული ოცნების“ გამოჩენას საქართველოს პოლიტიკურ სათავეში, აღვადგინეთ კავშირების ინტენსივობა, რაც შეფერხებული იყო გარკვეული მიზეზებით აგვისტოს ომის მერე. ახალმა მთავრობებმა ახალი ბიძგი მისცეს, ახალი მექანიზმი შეიმუშავეს ორმხრივ ურთიერთობაში. რამდენიმე მათგანს დავასახელებ: ერთიანი ეკონომიკური კომისია, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა მაშინდელი პრემიერ-მინისტრის, ივანიშვილის ისრაელში ვიზიტის დროს, 2012 წელს; შემდეგ ყოფილი თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ალასანიას ვიზიტის დროს შევთანხმდით პოლიტიკურ-სამხედრო კონსულტაციებზე. შედგა სამუშაო ჯგუფიც, ასევე განვაახლეთ შეთანხმება სოფლის მეურნეობის სფეროში. მოხდა მინისტრების გაცვლითი ვიზიტები; ხელი მოეწერა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ხელშეკრულებას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ისრაელის შიდაუსაფრთხოების სამინისტროს შორის. დავიწყეთ კოოპერაცია ორი ქვეყნის სამუშაო ჯგუფების დონეზე პოლიციასა და სხვადასხვა უწყებაში, რომლებიც დაკავებული არიან შიდაუსაფრთხოებით. უფრო ადრე მოეწერა ხელი ხელშეკრულებას ორ საგარეო უწყებას შორის. სამომავლოდ კი, ჩვენი ამოცანაა, ეს მექანიზმები ავამოქმედოთ. არსებული ფორმატი ამ ეტაპზე, ვფიქრობ, საკმარისია და ახლა მნიშვნელოვანია, უკვე ხელმოწერილი გეგმები განვახორციელოთ. არსებულმა სამინისტროებმა, პირველ რიგში, უნდა განაგრძონ ეს შეხვედრები. მერე, უნდა გადავიდეთ პრაქტიკულ შედეგებზე. იყო ბევრი ტრენინგი სოფლის მეურნეობაში, პოლიციელებისთვის, კოოპერაციის სხვა ფორმებზეც ვიმსჯელეთ, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. ვფიქრობ, პოტენციალი გაცილებით დიდია.

— საინტერესოა, უსაფრთხოების სფეროში პრაქტიკული თვალსაზრისით დახმარებაში რა იგულისხმება?

— უსაფრთხოება ფართო ცნებაა. აქ ვხედავ რამდენიმე ძალიან პრაქტიკულ შესაძლო არჩევანს. პოლიცია, პირველ რიგში ძალიან მნიშვნელოვანია ისევე, როგორც ყველა სახის სამოქალაქო უსაფრთხოება. ძალიან ბევრი გვაქვს გასაზიარებელი და შესათავაზებელი როგორც ტრენინგების თვალსაზრისით, ასევე აღჭურვილობის კუთხითაც. ეს არის ე.წ. რბილი ანუ არასამხედრო უსაფრთხოება. ასევე, ვიგულისხმე საგანგებო სიტუაციების უსაფრთხოება, როგორიცაა, მაგალითად, სახანძრო ბრიგადები... ასევე, არის სფეროები, რომლებიც დიპლომატიური დიალოგის თემაა. მაგალითად, რეგიონული უსაფრთხოება. შეშფოთებულნი ვართ რეგიონში მიმდინარე მოვლენებით — ირანს, სირიას, ერაყს... ვგულისხმობ. ეს რეგიონი საქართველოდანაც არც ისე შორსაა, ამიტომ დიალოგის ფორმატში კარგია, თუ ამ საკითხებზე ვიმუშავებთ, მათ შორის, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. გამოცდილების და შეხედულებების გაცვლა, შეფასებაა მნიშვნელოვანი, რათა ერთმანეთისგან ვისწავლოთ და საუკეთესო გამოსავალი ვნახოთ. აქტუალურია კიბერუსაფრთხოებაც, რომელშიც ბევრი ებრაული კომპანიაა ჩართული და მგონი, არის შესაბამისი სივრცე, ამ სფეროშიც ვითანამშრომლოთ. შესაძლოა, უშუალო მეზობლები არ ვართ, მაგრამ მაინც არც ისე შორს ვართ ერთმანეთისგან. კარგი იქნება, თუ ეს გვემახსოვრება და კიდევ უკეთესი — თუ ამას პრაქტიკულ თანამშრომლობაში გადავზრდით.

— საქართველოს უსაფრთხოების შანსებს როგორ აფასებთ?

— ისრაელის მსგავსად, საქართველოც დიდი გამოწვევების წინაშე დგას. თუმცა, გეოგრაფიას ვერ შეცვლი. ისრაელმა, აგვისტოს ომის დროს, მაშინვე დააფიქსირა ოფიციალური პოზიცია ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. ჩვენ ზოგადად, იარაღის გამოყენების წინააღმდეგი ვართ. დადებითად ვაფასებთ, რომ საქართველოს მთავრობა ცდილობს, რიტორიკას უკლოს რუსეთთან და ამის ნაცვლად, პრაქტიკული დიალოგი დაამყაროს.

— თუ იცნობთ ქართულ კულტურას და როგორი კავშირია ამ მიმართულებით საქართველო-ისრაელს შორის?

— თითქმის სამი წელია საქართველოში ვარ. ქართულად ვერ ვკითხულობ, მაგრამ... გავეცანი ქართულ ცეკვას, ტრადიციებს სხვადასხვა კუთხის სამზარეულოს. ასევე, გარკვეულ დონეზე, მუსიკისა და დრამის თეატრსაც ვიცნობ. როგორც აღვნიშნე, აქ კრეატიულობას ვხედავ. აქ ვცხოვრობ და შეიძლება, ეს ბუნებრივიცაა, მაგრამ თუ მსგავს კითხვას ისრაელის ებრაელებს დაუსვამთ, ქართულ კინოს აუცილებლად ახსენებენ — ბოლო დროს, იქ „სიმინდის კუნძულმა“ პრიზიც მიიღო. ასევე კარგად იცნობენ დირიჟორ ვახტანგ კახიძეს, რომელიც დროგამოშვებით გვსტუმრობს. ისრაელი იცნობს მარჯანიშვილის თეატრსაც. ჩანასახი არსებობს, მაგრამ ბევრად მეტია საჭირო, რომ კულტურული კავშირი გააქტიურდეს.

თებერვალში, საქართველოში ორი კონცერტი ჩატარდა სახელწოდებით „ისრაელის მუსიკის საღამოები თბილისში“. მაისში კი, ასევე ჩატარდება კონცერტები: ერთი, ფესტივალის „აღდგომიდან ამაღლებამდე“ ფარგლებში. მეორე კი — თბილისის კონსერვატორიის დარბაზში. ყოველწლიურად ვმონაწილეობთ თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალში, სტუდენტური და დოკუმენტური ფილმების ფესტივალებში, ჯაზ-ფესტივალში. ორი წლის წინ, თეატრალური დასებიც სტუმრობდნენ თქვენ ქვეყანას. სამწუხაროდ, ლიტერატურაში საერთოდ არ არსებობს გაცვლა. ებრაული ლიტერატურის ქართული თარგმანები ძალიან მწირია. ვეცდებით, გამომცემლებთან ვითანამშრომლოთ. ასევე, იშვიათად შეხვდებით ქართულ წიგნებს ისრაელში. მჭიდრო კავშირებით, ჯერჯერობით, ვერც განათლების სფეროში დავიკვეხნით, მაგრამ რამდენიმე პროგრამა არსებობს. ასევე, მოქმედებს, ახალგაზრდა სპორტსმენებისა და მედიის წარმომადგენლების გაცვლითი პროგრამები. ვფიქრობ, დიალოგი ყოველთვის კარგია. რესურსები შეზღუდულია, მეტია საჭირო. მთავარია, არ გავჩერდეთ. მომავალზე უნდა ვიყოთ ორიენტირებული და არ დავჯერდეთ მხოლოდ იმას, რომ თუნდაც 26-საუკუნოვანი მეგობრობა გვაკავშირებს.

— მომლოცველებს ზოგჯერ პრობლემები ექმნებათ ისრაელის საზღვრის გადაკვეთაში. ამაზე რა კომენტარს გააკეთებდით?

— შარშან, საქართველო იყო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელთანაც უვიზო რეჟიმი შემოვიღეთ. მანამდე, ამ მხრივ, მეტი პრობლემა იქმნებოდა. იყო ტურისტების ჯგუფი, რომლებთან დაკავშირებითაც სასაზღვრო პოლიციას სერიოზული ეჭვები გაუჩნდა. სიხარულით აღვნიშნავ, რომ წელს ორჯერ და მეტჯერ გაიზარდა ქართველი ტურისტების რიცხვი. მათმა აბსოლუტურმა უმრავლესობამ ყოველგვარი გართულების გარეშე გადალახა საზღვარი. ზოგს მაინც შეექმნა პრობლემები, რადგან ლეგიტიმური კითხვები გაგვიჩნდა. სამწუხაროდ, არიან არალეგალებიც, რომლებიც ამ ნებადართულ 90 დღესაც აჭარბებენ. უვიზო რეჟიმი ზედმიწევნით კარგი ორმხრივი ურთიერთობის ბუნებრივი შედეგი იყო, მაგრამ ის იმიტომ ხომ არ შემოვიღეთ, არალეგალების რიცხვი გაზრდილიყო? სირთულეების მერე დავუკავშირდით საქართველოს, მათ შორის საპატრიარქოსაც, რომელთანაც არაჩვეულებრივი ურთიერთობა გვაქვს. გვინდოდა, ამით საქართველოს მიმართ ჩვენი ნდობა და სითბო გამოგვეხატა, მაგრამ იურიდიულ დარღვევებზე თვალს ვერ დავხუჭავთ. იმედია, ასეთი შემთხვევები აღმოიფხვრება. ჩვენი ამოსავალი წერტილი კი არის, რომ ყველა ტურისტი, მომლოცველი და სტუდენტი მივიღოთ. ასევე, სასიხარულოა, რომ საქართველოში, ყოველ წელს, უფრო და უფრო მეტი ებრაელი ჩამოდის.

ვერსიანიუსი

ევროკავშირის ელჩი საქართველოს პრემიერ-მინისტრს მადლობას უხდის

წერილში, რომელიც მთავრობის მეთაურმა ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელისგან მიიღო, ხაზგასმულია ადმინისტრაციის პოლიტიკის დაგეგმვის, ინოვაციებისა და დონორთა კოორდინაციის სამსახურების ეფექტურობა.

ელჩი ასევე მადლიერებას გამოხატავს საჯარო ადმინისტრირების რეფორმისადმი საქართველოს მთავრობის მტკიცე და მკაფიო მხარდაჭერისთვის: **„ბატონო პრემიერ-მინისტრო, პირველ რიგში, მინდა, მადლობა მოგახსენოთ 2015 წლის 4 მარტით დათარიღებული წერილისთვის, რომელშიც გამოხატულია მთავრობის მკაფიო და ურყევი ნება საჯარო ადმინისტრირების სფეროში რეფორმებთან დაკავშირებით.**

მივაწოდე თქვენი წერილი ევროკავშირის ინსტიტუტებს ბრიუსელში, როგორც უტყუარი დასტური იმისა, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თქვენი მთავრობა ამ რეფორმებს. ამ კონტექსტში, 2015-2020 წლებისთვის თანმიმდევრული და ყოვლისმომცველი სტრატეგიის შექმნა მნიშვნელოვანი ნაბიჯია. ჩვენ ასევე მივესალმებით დონორთა სრულფასოვანი საკოორდინაციო სტრუქტურის შექმნას, სამაგალითო მმართველობის სფეროს ჩათვლით.

როგორც იცით, საჯარო ადმინისტრირების რეფორმა ერთ-ერთია საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის სამი საკვანძო სფეროდან. სიხარულით აღვნიშნავ, რომ მთავრობის ადმინისტრაციის ცალკეულ სამსახურებსა და რამდენიმე სამინისტროსთან შეთანხმებული მოქმედებების შედეგად, მუშაობა შესაბამის პროგრამაზე თითქმის დასრულებულია. თქვენი ურყევი გადაწყვეტილება, მაისის ბოლომდე საჯარო ადმინისტრირების რეფორმის გზამკვლევის შემუშავებასთან დაკავშირებით, იძლევა ამ რეფორმების სტრატეგიული, ასევე ფინანსური მხარდაჭერის, როგორც დახმარების ერთ-ერთი საბაზისო სახის, გათვალისწინების შესაძლებლობას.

ნება მომეცით, ვისარგებლო შემთხვევით და სიხარულით აღვნიშნო მთავრობის ადმინისტრაციასთან, განსაკუთრებით, სტრატეგიული დაგეგმარებისა და ინოვაციებისა და დონორებთან კოორდინირების სამსახურებთან ჩვენი ნაყოფიერი თანამშრომლობა. ეს თანამშრომლობა ეფუძნება ზემოთ აღნიშნული პროგრამის შემუშავების მიზნით სტრატეგიულ დიალოგს და ერთობლივ მუშაობას ტექნიკურ დეტალებზე.

ამ კავშირებს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ჩვენი წარმატებული თანამშრომლობისთვის“.

„პირველი“

„რაზბორკა“ მკვლელთან

რა უფლებით მოსთხოვა პასუხი პატიმარმა ზვიადას 16 წლის გოგონას გაუპატიურებისთვის

პატიმარი №0578

რამდენიც უნდა ვამტკიცოთ, რომ პატიმრებიც ისეთივე ადამიანები არიან, როგორც ყველა და მათაც იგივე მოვლა თუ პატრონობა სჭირდებათ, როგორც დანარჩენებს, ფაქტია — რეალობა ცოტა სხვაგვარი და მწარეა. გისოსებსმიღმა აღმოჩენილ ადამიანთა უმრავლესობა კრიმინალია, მათი დიდი ნაწილი კი — ჩამოყალიბებული კრიმინალი, შეგნებულად რომ მიდის დანაშაულზე და მისი ჩადენის ხერხები ხელოვნების დონეზე აქვს აყვანილი. სხვათა შორის, როცა წინა ხელისუფლებამ „ელიტ ელექტრონიქსის“ ყოფილი ხელმძღვანელი ანზორ ქოქოლაძე ციხეში გამოკეტა, მასთან რამდენჯერმე პატრიარქიც იყო მისული. ბატონი ანზორი უწმინდესის სიტყვებს პატიმრებს უყვებოდა, ამშვიდებდა, ამხნევებდა და... „როცა პატრიარქს ვუთხარი, დანაშაული არ ჩამიდენია-მეთქი, გაელიმა და მითხრა, შესაძლოა ახლა არაფერი ჩაგიდენია, მაგრამ დაფიქრდი, ცხოვრების განმავლობაში არ ჩაგიდენია ისეთი რამ, რისთვისაც სასჯელს იმსახურებდი?! სწორედ მაშინ მივხვდი, რომ რაღაც „ისეთი“ ყველას გვაქვს გაფუჭებული“, — ეს სიტყვები ქოქოლაძემ პატიმრებს გლდანის ციხეში, ადვოკატების მოსაცდელ ოთახში უთხრა.

რაც შეეხება მათ, ვისაც მთავარ საზრუნავად საკუთარი კეთილდღეობა აქვს, სულაც არ დაგიდევთ, ამას ვინმეს ქონება შეეწირება თუ სიცოცხლე. ბოლო დროს ბევრს საუბრობენ იმაზე, რამ მიიყვანა შალვა აბულაძე იმ მდგომარეობამდე, რომ დღეს ორი პოლიციელის მკვლელობის ბრალდება აქვს წაყენებული, თუმცა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ორ პოლიციელს კი არა, ნახევარ სამყაროს გაწყვეტდნენ საკუთარი კეთილდღეობისთვის...

ზვიად ფ. მეექვსედ იხდიდა სასჯელს. რომ შეხედავდი, ვერ იტყოდი, ეს კაცი ნატანჯიაო. ერთი ეგ იყო, თმა მთლიანად გათეთრებული ჰქონდა, რაც 44 წლის კაცისთვის უჩვეულოა. ჯამში, იმაზე მეტი ჰქონდა მისჯილი, ვიდრე თავად იყო, მაგრამ ყოველთვის ახერხებდა ციხიდან ვადაზე ადრე გასვლას და ამას, როგორც შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს, ისე წინა ხელისუფლების პირობებშიც მშვენივრად აგვარებდა.

„კაი ტიპი ჩანს ეს ზვიადა, საინტერესო იუმორი აქვს“, — უთხრა ერთ დღეს პატიმარმა №0578-მა ზონის მაყურებელს.

„ეგ კაი ტიპი მეექვსე სროკზეა, გარეთ ერთი ფაეტონი ხალხი ჰყავს „დაბრედილი“, ერთი ვაგონი დაუთოებული და კიდევ ერთი ეშელონი დასახჩრებული. უფრთხილდი, ისე გაიმეტებს კაცს, თვალს არ დაახამხამებს. ოჯახის წევრს არ დაინდობს“, — უთხრა მაყურებელმა.

„დარწმუნებული ხარ, რომ ერთსა და იმავე კაცზე ვლაპარაკობთ?!“ — გაოცებით ჰკითხა №0578-მა.

„კი, დარწმუნებული ვარ. შენც დარწმუნდები, თუ ურთიერთობაში შეხვალ, მაგრამ არ გირჩევ“, — გააფრთხილა მაყურებელმა.

ორი თვე ისე გავიდა, ზვიადი და პატიმარი №0578 სულ ერთად იყვნენ. თითქოს არაფერი ხდებოდა, მაგრამ №0578 ატყობდა, რომ ზვიადი რაღაცისთვის ემზადებოდა და უბრალოდ, შესაფერის მომენტს ეძებდა.

„იცი, ჩემმა ბიჭმა ცოლი მოიყვანა ორი დღის წინ. პატარაა, 18 წლის, გარეთ რომ ვყოფილიყავი, დავუშლიდი, მაგრამ აქედან რა ვქნა“, — უთხრა ერთ დღეს ზვიადმა.

„არ მიყვარს ბანალური ფრაზები, მაგრამ ხომ გაგიგია, ნაადრევი ყველაფერი კარგიაო“, — გაუღიმა №0578-მა.

„ეგ ნაადრევი იყო, პირველად რომ კაცი მომაკვლევინა“, — ჩუმად თქვა ზვიადმა და რადგან პატიმარმა არაფერი უპასუხა, ჩუმადვე განაგრძო: „გოგო მიყვარდა, 17 წლის ვიყავი, რომ მოვიყვანე. ის 15-ის იყო. გავიპარეთ. მამამისმა იჩივლა. პრინციპში, რად უნდოდა ჩივილი, პოლიციელი იყო. ჰოდა, დამიჭირეს და სასამართლოზე იცი, რა თქვა იმ გოგომ? ზვიადამ გამაუპატიურაო. ზონაზე მოძალადის სახელით შევედი, მაგრამ მაშინ ქურდები იყვნენ და ჩემი სიმართლის დამტკიცება არ გამჭირვებია. რვა წელი მქონდა მისჯილი და ორ წელში გამოვედი, ფული გადაიხადეს ჩემებმა, დიდი ფული. როგორც კი გაიგო მამამისმა ჩემი ციხიდან გამოსვლა, იმავე დღეს სახლში დამადგნენ, იარაღი ჩამიდეს და სანამ ხელბორკილს დამადებდნენ, ფანჯრიდან გადავხტი. მეოთხე სართულიდან, ალვის ხეები იდგა და იმათი ტოტების ლაწა-ლუწით დავეცი მინაზე. გავიქეცი და ერთი კვირის შემდეგ მამამისს ყელი გამოვჭერი. მაგაზე 15 წელი გამიყარეს და დაიწყო და დაიწყო“...

„და ის 15 წელი როგორ მოიხადე?!“ — დაინტერესდა №0578.

„ვინ გითხრა, რომ მოვიხადე? ჯაბას ამნისტიამ მომისწრო. აფხაზეთში წავედი საომრად და...“

„ამბობენ, რომ აფხაზეთში ზვიადამ დიდი ფული იშოვა და სადაც ქალიშვილი ნახა, ყველა იხამარაო“, — აღარ დაასრულებინა №0578-მა.

„ფული ვიშოვე, ქალიშვილების თემა მოგონილია. არა, ომია და შეიძლება რაღაც მოხდეს, მაგრამ მთლად მასეც არ იყო. კი იყვნენ ქალები, ერთი სნაიპერიც იყო. სნაიპერი უნდა იხმარო, აბა, რა უნდა ქნა და“...

„და ერთი 13 წლის გოგოცო“, — ისევ არ დაასრულებინა №0578-მა.

„არა, არ არის მართალი. ჯერ ერთი, 13-ის კი არა, 16-ის იყო და მეორეც, მამამისმა 14 ბიჭი მოგვიკლა, იცი, რა ბიჭები?! და...“

„და 16 წლის გოგო ამის გამო ნახევარმა ბატალიონმა იხმარეთ?!“ — პატიმარი №0578 აშკარად გაბრაზდა.

„შენ ომში ყოფილხარ? იცი, რას ნიშნავს, ძმაკაცს რომ გიკლავენ?!“ — ზვიადიც გაბრაზდა.

„ომში არა, მაგრამ, ძმაკაცს რომ გიკლავენ, რას ნიშნავს, ვიცი, თან შენზე კარგად, მაგრამ ამის გამო ვიღაცის ბავშვის გაუპატიურება აზრად არასოდეს მომსვლია. კი თქვეს, ნაბიჭვარია ეგ ზვიადა, შეეშვიო, მაგრამ ასეთი ნაბიჭვარიც თუ იყავი, არ მეგონა. ზონაზე კი არა, საქათმეშია შენი ადგილი, შე ნაბოზვარო“, — №0578 ფეხზე წამოდგა.

მათ ახლოს რამდენიმე პატიმარი კიდევ იდგა და ვერც ერთმა დაინახა, საიდან გამოაძრო ზვიადმა ასფალტზე ალესილი რკინის ნაჭერი და №0578-ს მოუქნია. პატიმარმა გვერდით გახტომა მოასწრო და მხოლოდ მაისური გაეხა. ზვიადმა მეორედ მოიქნია და №0578-ის მკლავიდან სისხლმა იფეთქა.

„გაიქეცი, დაგბრიდავს“, — დაიძახა ვიღაცამ, მაგრამ №0578 გაქცევას არ აპირებდა. ზვიადი კი აშკარად მოსაკლავად იწევდა და რკინის ნაჭერს სულ უფრო ხშირად იქნევდა.

„დააგდე“, — მოჩხუბრებს შორის მაყურებელი ჩადგა. ზვიადმა მაყურებელს შეხედა, მერე №0578-ს დააკვირდა და რკინა ჯიბეში შეინახა.

„ორივე ჩემს კამერაში, განახებთ თქვენ, „ლახმაჩობა“ და დანის ტრიალი როგორ უნდა“, — თქვა გაბრაზებულმა მაყურებელმა და კამერისკენ წავიდა. №0578 უკან გაჰყვა და ნეკნებთან ჩხვლეტა იგრძნო: ზვიადმა რკინის ნაჭერი მაინც იხმარა.

№0578 მაშინვე საავადმყოფოში გააქანეს. სერიოზული არაფერი იყო, ნეკნს ჰქონდა დარტყმა გაჩერებული და მხოლოდ კანი იყო გაჭრილი.

„ვინ გაგიმეტა?!“ — ჰკითხა პალატაში შესულმა ზონის უფროსმა ლაშა ბრეგვაძემ.

„არავინ, კიბის სახელურები გააკეთეთ ნორმალური და აღარ დავსახიჩრდები“, — ჩუმად უთხრა №0578-მა.

„მომისმინე, ყმაწვილო — ზონა ჩვენი ბოზებით არის სავსე. შენ შტირი ზვიადამ დაგარტყა და თუ იტყვი, ასე იყოო, იმ ნაბიჭვარს სროკს დაუმატებენ და ბევრ სხვასაც უშველი, გესმის?!“ — დაუმარცვლა ბრეგვაძემ.

„როგორ არ მესმის, მაგრამ მთავარი დაგავიწყდა — მე ბოზის სახელი მექნება და მაგას რა ვუყო... ყმაწვილო?!“ — №0578-მაც თითოეული სიტყვა დამარცვლა და ბრეგვაძე პალატიდან გავიდა.

№0578 ზონაზე ორ დღეში დაბრუნდა და მაშინვე მაყურებლებთან მივიდა. მალე ზვიადიც მოიყვანეს.

„ბევრ საუბარს არ ვაპირებ. ორივე დამნაშავე ხართ. ზვიადს რაც შეეხება, იმის გამო, რომ ჩვენს გარეშე „არესტანტს“ დანა დაარტყა, მაგრად დაილეწება. შენ. კიდევ ერთი ასეთი შეცდომა და ცემაში სულს ამოგხდით“, — მაყურებელმა ყველაფერი ლამის ერთ წინადადებაში დაასრულა, თუმცა კამერაში გალიდან დევნილი რომეო გ. შემოვიდა.

„მე ვიცი, რაზე იჩხუბეს ამათ. №0578 მართალია იმიტომ, რომ ზვიადამ მართლა გააუპატიურა 13 წლის გოგო. იმ გოგოს მამა კი ხოცავდა ქართველებს, მაგრამ ის მოკლეს, მერე კი ამან შვილი დაითრია, პარტიზანი ვარო და ტყე-ტყე დაათრევდა ორი კვირა. იმ გოგომ მერე ამას დანა მოპარა და ყელი გამოიჭრა. ეს ერთი და მეორეც — ის ბიჭი, ახლა რომ ცოლი მოიყვანა თურმე, მამამისს დასანახად ვერ იტანს, მთვრალმა ყური მოაჭრა და ეს მთელმა რაიონმა იცის“, — დაასრულა მონოლოგი რომეომ.

სანამ ვინმე რამეს იტყოდა, ზვიადი კამერიდან გავარდა და ოფიცრებთან მივიდა, სხვა ზონაზე წამიყვანეთ, აქ მომკლავენო და... ხელი №0578-სკენ გაიშვირა. ზვიადი სხვა ზონაზე მეორე დღესვე გადაიყვანეს, №0578-ს კი მაყურებელი ცალკე დაუჯდა.

„ხომ ხედავ, რა ხდება აქ?! ხომ ხედავ, როგორ გაგიმეტეს? იმასაც ხომ ხედავ, რომ ყოველთვის შენს მხარეს არ იქნება იღბალი და გაჩერდი, რა, შეეშვი ამ ნაბიჭვრებს, გაიღვიძე, წაიკითხე, დაიძინე. პერიოდულად ჭამე ბალანდა და ეგ არის, რა, შენი სროკი“, — უთხრა მაყურებელმა.

„და თქვენ როგორ იტანთ ამდენ ნაბიჭვარს თქვენი დაუწერელი კანონებით?!“ — გაბრაზდა №0578.

„სხვა გზა არ არის, აქ ნახევარზე მეტი ნაბიჭვარია და ყველას თუ ცემა-ტყეპა დავუწყეთ, ომი დაიწყება, ნამდვილი ომი“, — თავი დახარა მაყურებელმა.

ვერსიანიუსი

იანვარ-მარტში, დანაშაულმა, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, 15,24%-ით იკლო

შინაგან საქმეთა სამინისტრო დანაშაულის სტატისტიკას აქვეყნებს. აღნიშნული სტატისტიკა ასახავს როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს, ასევე საქართველოს ყველა საგამოძიებო უწყების მონაცემებს, რომელიც მოიცავს საქართველოში არსებულ იმ სამინისტროების სტრუქტურაში შემავალ დანაყოფებს, რომლებიც თავიანთი ქვემდებარეობის მიხედვით აწარმოებენ გამოძიებას სისხლის სამართლის საქმეებზე, კერძოდ: მთავარი პროკურატურა, იუსტიციის სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო. შინაგან საქმეთა სამინისტრო ასევე აქვეყნებს დანაშაულის სტატისტიკას შსს-ს ტერიტორიული დანაყოფების მონაცემებს საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით.

2015 წლის იანვარი-მარტი: 2015 წლის იანვარ-მარტში საქართველოს ყველა საგამოძიებო უწყების მიერ რეგისტრირებულია 8970 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა 4697 დანაშაული. დანაშაულის გახსნის პროცენტია 52.36%. ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა -15.24%.

2015 წლის იანვარი-მარტი: 2015 წლის იანვარ-მარტში შსს-ს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით რეგისტრირებულია 6218 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა 4072 დანაშაული. დანაშაულის გახსნის პროცენტია 65.49%. ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა -17.65%.

„ვერსიანიუსი“

შსს-მ ქობულეთის რაიონში მომხდარი ყაჩაღობის ფაქტი გახსნა

შსს-ს აჭარის მთავარი სამმართველოს ქობულეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1985 წელს დაბადებული ლაშა შ, 1990 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი კახა კ. და 1993 წელს დაბადებული უჩა ს. ჯგუფური ყაჩაღობის ბრალდებით ქობულეთში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ნიღბიანი ბრალდებულები 19 აპრილს, ღამით, ქობულეთის რაიონის დაბა ოჩხამურში, ქობულეთი-ბათუმის შემოვლითი გზის მშენებლობაზე დასაქმებულ ჩინეთის ორ მოქალაქეს მშენებლობის ტერიტორიაზე არსებულ საცხოვრებელ კოტეჯში თავს დაესხნენ და ცივი იარაღის მუქარით 1600 ჩინური იენი, 200 ამერიკული დოლარი, 200 ლარი, მობილური ტელეფონი, პერსონალური კომპიუტერი და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთი გასტაცეს.

სამართალდამცველებმა, ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ბრალდებულები მომხდარიდან რამდენიმე დღეში ქობულეთში დააკავეს. ნაყაჩაღარი ფულის ნაწილი — 1600 იენი, დაზარალებულების პირადი ნივთები, მობილური ტელეფონი, პერსონალური კომპიუტერი, დანაშაულის იარაღი და ნიღბები ნივთმტკიცებად ამოიღეს. გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ სამივე დაკავებული ამავე მშენებლობაზე მძღოლად მუშაობდა.

გამოძიება სადგომში ან სხვა საცავში ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით).

„ვერსიანიუსი“

ქვათა მატიანე

სადიდებელნი სამებისა წმიდისანი

ჭერემის ქვეყანა

ვაჩნაძიანის „სამება“: საერთო ხედი და მხატვრობის ფრაგმენტი

გელა ქოქიაშვილი

სანამ სავარაუდოდ ილარიონის მიერ აგებულ მამათა დიდ მონასტერს მივადგებოდეთ, ილარიონის „ცხოვრებიდან“ კიდევ ერთი, მეტად საყურადღებო მომენტი უნდა გავიხსენოთ.

იერუსალიმიდან ჩამოსულ ილარიონს დედათა და მამათა მონასტრების აგების შემდეგ ერთი უხეირო ნათესავი (თუ დედის ძმა) აუმხედრდა: **„აღიხუნა მხედარნი და მივიდა მონასტრად წმიდისა მიერ შენებულსა, რათამცა დაწუას იგი და აიავრყოს, და იტყოდა ვითარმედ ჩემდა უფროსად ჯერ-არს დაპყრობად ყოველი სიმდიდრე დაისა ჩემისაი“** (მეტაფრასული რედაქცია).

როგორ უნდა გავიგოთ ეს მონაკვეთი?

მოვლენებს ურწმუნო კაცის თავლით თუ შევხედავთ, ნათესავის (თუ დედის ძმის) აღშფოთება და პრეტენზია სამართლიანია: ილარიონმა, იმის ნაცვლად, რომ დინასტიის შერყეული საფუძვლები გაემყარებინა დონაურთა შემოტევის პირობებში, მამისა და ძმების დანატოვარი მთელი ქონება ეკლესიების მშენებლობაში გაანიავა, ხოლო დედა და და მონასტერში გამოამწყვდია. ასეთ შემთხვევაში, რაკი ილარიონმა საერო ცხოვრებაზე უარი თქვა და უღირსი მემკვიდრე გამოდგა, ილარიონის მამის მთელი ქონება უკვე მას ეკუთვნის (ეს კაცი ვანთელი ფეოდალი ხომ არ იყო?). საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ილარიონის ურწმუნო ნათესავის მოთმინების ფიალა სწორედ 76-კაციანი ვეება სამონასტრო კომპლექსის მშენებლობამ აავსო. ეს კომპლექსი დავითგარეჯის რომელიმე ლავრა ვერანაირად ვერ იქნებოდა — ილარიონის ბიძა, როგორი გულადიც უნდა ყოფილიყო, თუნდაც მხედრობით, უდაბნოს მრავალრიცხოვან ქვაბებში მიჭრას ვერ გაბედავდა. გარდა ამისა, უხეირო ნათესავს არც გარეჯის მონასტერი ექნებოდა ცხვირწინ გასაღიზიანებლად. მკითხველი, ალბათ, ხვდება, თხრობა საითკენაც მიმყავს — **დედათა მონასტრის მსგავსად, მამათა მონასტერიც სადღაც იქვე — კალაურისა და ვაჩნაძიანის მიდამოებშია მოსაძებნი.**

კალაურის „ნათლისმცემლიდან“ დასავლეთით, მაღალ სერსგადაღმა, დაახლოებით ორ კილომეტრში მდებარეობს ცნობილი კომპლექსი **„ვაჩნაძიანის ყველაწმინდა“**, რომელშიც სამი ეკლესიაა. მათგან ერთ-ერთი მთის მაღალ კორტოხზე, ზღვის დონიდან 1000 მეტრზეა აღმართული. VI-IX სს-ის ამ მცირე დარბაზულ საყდარს (5,6X3,8 მ.) **„სამება“** ჰქვია. რიყისა და ნაწილობრივ შირიმის ქვით ნაგებ საყდარს ერთადერთი თაღოვანი კარი დასავლეთიდან აქვს, რომელთანაც ხუთსაფეხურიან ქვის კიბეს ავყავართ. ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთი ქარაფზეა გადაკიდებული ჰაერში. შიგნით ეკლესიას ნალისებრი აფსიდი და ტრაპეზის დიდი ქვა აქვს. კედელზე შემონახულია XVI საუკუნის ე.წ. ხალხური მხატვრობის ნიმუშები.

ერთ-ერთ წინა წერილში („გურჯაანიდან- ძველ ურიათუბანში“) ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ, რომ **ეს მთა და პატარა ეკლესია „სამება“ ჩრდილოეთით მონასტერთა მთელ სისტემას კრავს, ხოლო სამხრეთით ჭერემს გასცქერის.** ეკლესიის აივანზე მდგარს კიდევ ერთხელ მახსენდება ილარიონისადმი მიძღვნილი IX საუკუნის საგალობლის სიტყვები: **„მოხუედ ქუეყანად თვისა და აღაშენე ექუსნი მონასტერნი დიდებულნი სადიდებელნი სამებისა წმიდისანი“...**

„სამების ქვევით“, ჩრდილოეთ მხარეს, 200 მეტრში და ასევე ტანაყრილ ტყეში, დგას ორი ძალიან საგულისხმო ძეგლი: VI საუკუნის დანგრეული სამეკლესიანი ბაზილიკა და IX საუკუნის დიდი, გუმბათიანი საყდარი. ორივე ეკლესია ერთ სამონასტრო კომპლექსად მიიჩნევა და „ვაჩნაძიანის ყველაწმინდა“ ჰქვია.

ბაზილიკიდან შემორჩენილია მხოლოდ აღმოსავლეთი მონაკვეთი: საკურთხევლის აფსიდი, სადიაკვნე, სამკვეთლო და აქეთ-იქიდან მიშენებული სხვადასხვა ფორმის ორი სამლოცველო, რომელიც გარშემოსავლელის გაგრძელება იყო. შემორჩენილი აღმოსავლეთი კედლის სიგრძე 17,5 მეტრია. ბაზილიკის ცენტრალური ეკლესიის სიმაღლე 10 მეტრზე მეტი ყოფილა (!). დანგრეული კედლები უმეტესად ზეძირკვლიდან 0,5-1 მეტრის დონეზეა შემორჩენილი. ტაძარი აგებულია თანაბარი, მოზრდილი რიყის ქვის ზუსტი, თარაზული წყობით, აქა-იქ სარკმლის ღიობებსა და სხვა კონსტრუქციულ ნაწილებში ჩართულია შირმის ქვა. საკურთხევლის აფსიდი, კონქი და მისი თაღი ნალისებრია. გასაოცარია ის, რომ საკურთხევლიდან იზოლირებულ სამკვეთლოსა და სადიაკვნოს კარი აღმოსავლეთ კედელშიც აქვს გაჭრილი. ასეთი რამ სხვაგან არ შემხვედრია. სამხრეთიდან მიშენებული სამლოცველოს ქვეშ კრიპტაა. მთელი ტაძრის შიდა ფართი, დაახლოებით, 320-330 კვ. მეტრი უნდა ყოფილიყო.

გუმბათიანი ეკლესია ბაზილიკიდან 30-40 ნაბიჯშია. მის გარშემო შემორჩენილია გალავნის ფრაგმენტები, განახლებული კარიბჭისა და სატრაპეზოს კედლები.

თავად ტაძარი საქართველოში მანამდე აგებულ ყველა გუმბათიან საყდარზე ფართო და მაღალია. იგი გარდამავალი ხუროთმოძღვრული ხანის (VIII-IX საუკუნეები) ერთ-ერთი საეტაპო ძეგლია. მის ავტორს სამეკლესიანი ბაზილიკის ცენტრში დიდი კვადრატი ჩაუდგამს, რომელიც ზევით, აფრების დახმარებით, რვაწახნაგიანი გუმბათის ყელში გადაუყვანია (სწორედ ამ ტაძარში შეცვალა პირველად აფრამ ტრომპი). ნაგებობის აღმოსავლეთი ნაწილი კიდევ უფრო ორიგინალურია: გუმბათქვეშა სივრცეს აღმოსავლეთით ჩვეულებრივი საკურთხევლის აფსიდი კი არ მოსდევს, არამედ ტრიკონქიანი საკურთხეველი. თითქმის იგივე პრინციპია დაცული ცენტრალური ეკლესია-დარბაზის დასავლეთ მონაკვეთში. აქ სამხრეთისა და ჩრდილოეთის არეები აფსიდებით და კონქებით სრულდება. გამოკვეთილი ტრიკონქის ფორმა აქვს სადიაკვნოსა და სამკვეთლოს, რომელთაც, თავის მხრივ, დასავლეთიდან კვადრატული ფორმის და შეკრული კამარის მქონე სათავსები ებმის. სამკვეთლოც და სადიაკვნოც ცენტრალურ საკურთხეველს როგორც უშუალოდ, ისე ამ სათავსების გავლით უკავშირდება. სადიაკვნოსა და სამკვეთლოს სათავსებს დასავლეთის ყრუ კედლით ემიჯნება გვერდითი ეკლესია-დარბაზები, რომელთაც გარშემოსავლელი აერთიანებს. მეორე სართულზე გარშემოსავლელისა და ეკლესია-დარბაზების თავზე, ღია ტიპის პატრონიკეებია, ერთგან კი სამალავია.

თამაზ დვალმა სამხრეთ პატრონიკის შიგნით აღმოსავლეთ წირთხლზე აღმოაჩინა XV საუკუნის II ნახევრის მოღვაწის, საქართველოს მეფის — გიორგი VIII-ის (იგივე კახეთის მეფე გიორგი I) მეღვინეთუხუცესის ასათ ვაჩნაძის წარწერა. მეღვინეთუხუცესი ამ ტაძრის აღმდგენელი ყოფილა.

ტაძრის ფასადებიდან განსაკუთრებული აღმოსავლეთი მხარეა. იგი ნარმოგვიდგება ერთი დიდი და ორი მცირე მრავალწახნაგა შვერილი აფსიდით.

თუ „გურჯაანის ყველაწმინდის“ ავტორი ორი გუმბათით, სიმბოლურად, ქრისტეს ორბუნებოვნებაზე ამახვილებს ყურადღებას, „ვაჩნაძიანის ყველაწმინდის“ შემოქმედი ერთი გუმბათით, საკურთხევლით, ტრიკოქიანი ოთახებითა და 12 შეკრული კამარით მაცხოვარზე, ღვთისმშობელზე, ფრთიან ანგელოზებსა და მოციქულებზე გვესაუბრება.

„ვაჩნაძიანის ყველაწმინდის“ აგებას რომ დიდი სახსრები დასჭირდებოდა, ეს მხოლოდ მისი მასშტაბებიდან არ გამომდინარეობს — ტაძარი ძალიან რთული ნაგებობაცაა. არქიტექტორი თამაზ დვალი ფიქრობს, რომ ყველა ნიშითა და მტკიცებულებით, სწორედ ეს უნდა იყოს 76 ბერზე გათვალისწინებული მონასტერი, რომელმაც თვალი დაუბნელა ილარიონის ნათესავსა თუ დედის ძმას.

ვაჩნაძიანის გუმბათიანი „ყველაწმინდა“: ხედი სამხრეთიდან,ასათ ვაჩნაძის წარწერა, საკურთხევლის შვერილი აფსიდი და ინტერიერის ფრაგმენტი



კარგა ხანს მიჩნეული იყო, რომ 53 წლის ილარიონ ქართველი 875 წელს გარდაიცვალა, მაგრამ მანანა დოლაქიძის გამოკვლევით, გარდაცვალების თარიღად ასევე შესაძლებელია მივიჩნიოთ 869 წელი. ეს იმას ნიშნავს, რომ ღირსი მამა ან 816 წელსაა დაბადებული, ან 822 წელს. აქედან გამომდინარე, რაკი იგი იერუსალიმიდან 33 წლის ასაკში დაბრუნდა და აქ 10 წელი დარჩა, მას კალაურ-ვაჩნაძიანის დედათა და მამათა მონასტრები (და არა მხოლოდ ეს მონასტრები) 849-865 წლებში უნდა აეგო.

თუ გავითვალისწინებთ, რომ „ვაჩნაძიანის ყველაწმინდასა“ და „გურჯაანის ყველაწმინდას“ შორის უმნიშვნელო „ასაკობრივი“ სხვაობაა, მაშინა სეთი დათარიღება მისაღები უნდა იყოს. რაც შეეხება აკურის „მამა-დავითს“, თუ მის აგებას ილარიონის მამას მივაწერთ, მაშინ იგი 826-836 წლებით უნდა დავათარიღოთ და არა 855 წლით (როგორც აქამდეა მიღებული).

და კიდევ: ილარიონსა და მის თანამოაზრეებს ამ მიდამოებში სხვა ტაძრებიც რომ აქვთ აშენებული, ეს უდავოა. მათი კონკრეტიზაცია მეტად გაჭირდება, მაგრამ მომავალ წერილში და მოგზაურობაში, ეგების, მცირეოდენი მინიშნებები მაინც გავაკეთოთ.

ვაჩნაძიანის 3-ეკლესიანი „ყველაწმინდა“: ცენტრალური ეკლესიის აფსიდი და ტაძრის ხედი აღმოსავლეთიდან

ავტორის ფოტოები



1. ყველაზე წყალუხვი მდინარე მსოფლიოში
2. იგივეა, რაც ღრიანკალი
3. წელიწადის დრო
4. იგივეა, რაც ზამში
5. გურამ ფანჯიკიძის რომანი
6. დეკორატიული ძაღლის ჯიში
7. ზამთრის ვაშლის ჯიში
8. ერთ-ერთი სახარების დამწერი
9. ნახშირბადის ნაირსახეობა
10. ყველიანი ჰამბურგერი
11. სახლს მიშენებული ღია ნაწილი
12. კომიკოს რიშარის სახელი
13. სკვითების მახვილი
14. იშვიათი ეგზემპლარი
15. თბილისის ერთ-ერთი უნივერსიტ.
16. ერთ-უჯრედიანი ცხოველი
17. დიდი ზომის მღრღნელი
18. ფერადი საქარგავი ძაფი
19. ინდიელი ხალხი
20. კატის ნაშიერი
21. ადამის პირველი ცოლი
22. საღილის ჭურჭლის კომპლექტი
23. ბერძნული მითოლოგიის გმირი
24. სანელებელი მცენარე
25. თამბახის ფურც. დაწესებულებ. ტიტულით
26. ავსტრიის ყოფილი ვალუტა
27. მსახიობი ჯერემი ...
28. ძველბერძენი მათემატიკოსი
29. ფრანგი კომპოზიტორი
30. ნაკურთხი სეფისკვერი
31. წყლის ნიმფა
32. ცრუ თავთავი
33. ბეისბოლის ტერმინი
34. ფერადი ზოლი ქსოვილზე
35. ამირანის ერთ-ერთი ძმა
36. კუკარაჩას ცოლი
37. იგივეა, რაც თაღი
38. დუმბაძის ბერძენი ჭაბუკი
39. ბობ მარლის ჟანრი
40. სამოას დედაქალაქი
41. საბუთის მეორე პირი
42. ესპანელი მწერალი
43. საოპერო პარტია
44. სარწყავად გაჭრილი არხი
45. თვალის ფერადი გარსი
46. რუსი საბჭოთა მწერალი
47. საღდგომო კვერცხის საღებავი
48. სოლჟენიცინის არქიპელაგი
49. ძველი სომხური სამეფოს დედაქალაქი
50. სოფელი ონის რაიონში
51. ქალაქი ბელგიაში
52. პატარა საწნახელი
53. მუსიკალური გამის III ნოტი
54. ცხიმოვანი სიმსივნე
55. ამერიკელთა მეტსახელი
56. მუსლიმანთა საღანძღავი სიტყვა
57. ამაზონის დელფინი
58. დანიის ტერიტორ. ერთეული
59. გემის ბორტი
60. (ძვ.) სურნელოვანი ნელსაცხებელი

რატომ ეზრდებათ კაცებს მკერდი

მედიკოსებს ბოლო პერიოდში მამაკაცები ხშირად აკითხავენ ჩივილით, რომ მკერდი ეზრდებათ და ამ პროცესის შეჩერებას ითხოვენ. სწავლულებმა ტორონტოს უნივერსიტეტიდან სცადეს მიზეზის გარკვევა: როგორც წესი, ზედმეტ წონასთან ერთად, იზრდება სარძევე ჯირკვლები და ამ შემთხვევაში წონაში დაკლება ყველაზე ბუნებრივი გამოსავალია; მკერდის ზრდის მიზეზი შეიძლება ასაკიც იყოს — ასაკის მატებასთან ერთად, ძლიერ სქესს მკერდის კუნთები მოშვებული აქვს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ არსებობს სერიოზული მიზეზებიც, მაგალითად მარიხუანა, რომლის მოხმარებაც სარძევე ჯირკვლებს ზრდის; ასევე არასწორად დანიშნული პრეპარატები, ჰორმონალური აბები. ზოგ შემთხვევაში კი, კაცებში მკერდის ზრდა გამოწვეულია ღვიძლის დაავადებითა და თირკმლის უკმარისობით. საფრთხისშემცველია ასევე სწრაფი კვების პროდუქტი და ხსნადი ყავა.

„ეშმაკის სუნთქვა" კოლუმბიიდან

კოლუმბიის დამნაშავეთა სამყარო ახალი ნარკოტიკით შეიარღდა, რომლის მოხმარებაც ადამიანებს ზომბებად აქცევს და აიძულებს, უპრობლემოდ დათმონ საკუთარი ქონება. ეს ნივთიერება სამეცნიერო წრეებში ცნობილია, როგორც სკოპოლამინი, სამხრეთ ამერიკაში კი „ეშმაკის სუნთქვა" უწოდეს. ნივთიერებას, რომელსაც განსაკუთრებული გემო და სუნი არ აქვს, სასმელში ან საჭმელში ურევენ. ბოგოტაში შეიძლება ასობით უჩვეულო ისტორია მოისმინოთ, ადამიანებმა „საკუთარი ნებით" როგორ დაკარგეს ფული ან ორგანოების გარეშე დარჩნენ ისე, რომ არაფერი ახსოვდათ. მეხსიერების დაკარგვა სკოპოლამინის ერთ-ერთი გვერდითი ეფექტია, ამ ნივთიერების მოპოვება კი ძალიან ადვილია. ქვეყანაში თითქმის ყველგან იზრდება ბორაჩეროს ეგზოტიკური ხე, რომელსაც მოგრძო ფორმის მოყვითალო-თეთრი ყვავილები აქვს და საშიშ ნივთიერებას შეიცავს. დიდი ხნის განმავლობაში მას ფართოდ იყენებდნენ მხოლოდ სამხრეთ ამერიკაში, მაგრამ ბოლო დროს ამ ნივთირების დამღუპველი ზემოქმედების მსხვერპლი ხშირად ხდებიან აშშ-ს, ევროპისა და აზიის ქვეყნებშიც.

სანდრა ბალოკი – ულამაზესი ქალი

პოპულარულმა ჟურნალმა People ჰოლივუდის მსახიობი სანდრა ბალოკი 2015 წლის ყველზე ლამაზ ქალად აღიარა მსოფლიოში. რედაქციას არანაირი გამოკითხვა არ ჩაუტარებია და არც რეიტინგი შეუდგენია. არჩევანი საკუთარი მოსაზრებების საფუძველზე გააკეთეს და 50 წლის ოსკაროსანი მსახიობის ფოტო ჟურნალის გარეკანზე გამოაქვეყნეს. ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ ბალოკის სილამაზე არ ჯდება საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებში, თუმცა 30-წლიანი კინოკარიერის განმავლობაში იგი უცვლელი რჩება. ჰოლივუდის ვარსკვლავმა მადლობა გადაუხადა ჟურნალის რედაქციას ამ პატივისთვის და აღნიშნა, რომ „ნამდვილი სილამაზე — დედობაა". მსახიობმა 2010 წელს ბიჭი იშვილა და ლუსი ბარდოს მარტო ზრდის. გამოცემა პლანეტის ყველაზე ლამაზი ქალის წოდებას ყოველწლიურად ანიჭებს, შარშან სუსტი სქესის წარმომადგენლებში ასეთად შავკანიანი მსახიობი ლუპიტა ნიონგო აღიარა.

სუდოკუ

ადვილი

6	9		4	2				
		3				6		
		1	8				3	9
3				8			9	
2			7		1			4
	6			4				5
9	3				6	5		
		2				9		
				1	4		8	3

სტანდარტი

9				2	4	7	3	6
5				6	7	2		
						1		5
2			7		6			3
8		5						
		4	1	7				9
1	5	2	9	8				7

რთული

		8	3	4	2			6
	1		7					
		2		5				7
	5		2			8		
			6		5			
		1			8		5	
1				2		9		
					7		2	
6			5	9	3	7		

ექსპერტი

7								
8			9	3		6		
	1		8			7		3
				4		8		
1				9				2
		7		1				
3		5			4		6	
		6		8	2			4
								8

ტუალეტი „ყველა სქესისთვის" თეთრ სახლში

თეთრ სახლში, ამერიკული დემოკრატიის აკვანში კიდევ ერთი „გამარჯვება" დაფიქსირდა — საპირფარეშოების ახალი სახეობა გაჩნდა „ყველა სქესისთვის". ის არანაირი ტექნიკური ან არქიტექტურული მიღწევებით არ გამოირჩევა, ჩვეულებრივი ტუალეტია, კაბინებით, უნიტაზით და მათთვისაა გათვალისწინებული, ვინც უკმაყოფილოა საკუთარი სქესით, ან მათთვის, ვინც ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა სქესთან დაკავშირებით. ეს პირველი უნისექს-ტუალეტია მსოფლიოში და მსგავსი ტოლერანტობით ვერ დაიკვეხნის ვერც ბუნდესტაგის შენობა, ვერც ბრიტანული პარლამენტი და ვერც ელისეის სასახლე პარიზში. ისარგებლებს თუ არა ვინმე დეკორატიის ახალი „მიღწევით", ჯერ რთული სათქმელია, ტუალეტით სარგებლობა კი შეუძლიათ როგორც თეთრი სახლის თანამშრომლებს, ისე მის სტუმრებსაც.

კაკალი სისხლძარღვებს აკვერდავს

ყოველდღიურ რაციონში კაკლის შეტანა ხელს უწყობს სისხლძარღვების კედლების განმტკიცებას ჭარბწონიან ადამიანებში, — ასეთი დასკვნა გრიფინის ჰოსპიტლის მკვლევარებმა დადეს. სწავლულების განცხადებით, ვიტამინების ხარჯზე, კაკალს ორგანიზმიდან ტოქსინები გამოაქვს და გარდა ამისა, ნოყიერია. თუკი ნიგოზს ჩვენს ყოველდღიურ რაციონში ჩავრთავთ, დროთა განმავლობაში ორგანიზმიდან მავნე პროდუქტი გამოიდევნება. ექსპერიმენტში 30-დან 75 წლამდე ასაკის 45 მოხალისე მონაწილეობდა. მათი სხეულის მასის ინდექსი კი 25-ს აჭარბებდა, ანუ ჭარბწონიანები იყვნენ. ისინი არ ეწეოდენ და მეტაბოლურ გადახრებს უჩიოდნენ, ასევე ჰქონდათ დიაბეტისა და გულსისხლძარღვთა დაავადებების განვითარების რისკი. მოხალისეები ორ ჯგუფად დაყვეს. პირველის წევრები მიირთმევდნენ იმას, რაც მოესურვებოდათ, მეორე ჯგუფი კი, კვების პარალელურად, დღეში 56 გრამ კაკალს იღებდა. შედეგად ამ ჯგუფის წევრებს გაუუმჯობესდათ ენდოტელიუმის (უჯრედების ფენა, რომელიც ქმნის სისხლისა და ლიმფის კაპილარების კედლებს, არტერიებს, ვენებისა და გულის კედლის შიდა შრეს) მუშაობა და მიუხედავად ნიგვზის კალორიულობისა, არც წონაში არ მოუმატიათ.

ექვიანმა ქმარმა ცოლი გაასუქა

ბრიტანეთის მოქალაქე დელვარ სინგხი, ცოლს რომ არ ეღალატა, საკვებში რეგულარულად სტეროიდებს უყრიდა. შედეგად ქალი გასუქდა და თმის ცვენა დაეწყო. ქალი ხშირად ჩიოდა საჭმლის მწარე გემოზე, მაგრამ მეუღლე აიძულებდა, კერძზე უარი არ ეთქვა, რადგან საყვარელი ქმრის მომზადებულ სადილზე უარი უპატივცემულობად აღიქმებოდა. სიმართლე კი სრულიად შემთხვევით გაირკვა, როცა მათმა 15 წლის ქალიშვილმა დაინახა, მამა როგორ უყრიდა დედას საჭმელში წამალს. გოგონამ, რასაკვირველია, ყველაფერი დედას უამბო. გაცეცხლებულმა ქალმა სამზარეულოს კარადის ჩაკეტილი კარი გატეხა და იქ ქიმიური პრეპარატები აღმოაჩინა. ცოლმა მაშინვე პოლიცია გამოიძახა. საქმე აღიძრა, სასამართლომ ექვიან ქმარს ერთი წლით ციხე და ორი წელი შინაპატიმრობა მიუსაჯა. სასამართლო განხილვაზე ბრიტანელმა თავისი საქციელი იმით ახსნა, რომ არ სურდა, რქებდადგმული მეუღლის როლში აღმოჩენილიყო. მისი აზრით, იდეალური ცოლი სახლში უნდა იჯდეს, ოჯახს მიხედოს და შვილები გაზარდოს.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

6	5	4	3	2	1	9	8	7
3	9	2	8	7	6	1	5	4
1	8	7	5	4	9	6	3	2
2	4	8	1	9	7	3	6	5
9	6	5	4	8	3	7	2	1
7	3	1	2	6	5	8	4	9
4	2	6	9	1	8	5	7	3
8	1	3	7	5	4	2	9	6
5	7	9	6	3	2	4	1	8

სტანდარტი

7	6	8	5	4	2	9	3	1
4	3	5	6	1	9	7	2	8
2	1	9	8	3	7	6	5	4
1	4	7	3	2	8	5	6	9
6	9	3	7	5	4	8	1	2
8	5	2	1	9	6	4	7	3
3	2	4	9	7	5	1	8	6
5	8	1	4	6	3	2	9	7
9	7	6	2	8	1	3	4	5

რთული

6	2	5	4	9	8	7	1	3
1	9	8	3	2	7	6	5	4
7	4	3	1	6	5	2	9	8
4	8	2	7	1	3	9	6	5
9	5	7	2	8	6	4	3	1
3	1	6	5	4	9	8	7	2
2	3	4	9	7	1	5	8	6
8	7	1	6	5	4	3	2	9
5	6	9	8	3	2	1	4	7

ექსპერტი

6	4	3	2	5	9	1	8	7
7	2	1	6	8	4	5	9	3
8	5	9	1	7	3	6	4	2
4	8	7	5	6	2	3	1	9
3	1	6	9	4	8	2	7	5
5	9	2	3	1	7	4	6	8
2	7	5	4	9	6	8	3	1
1	6	8	7	3	5	9	2	4
9	3	4	8	2	1	7	5	6

მე-10 გვერდი: 1. სტიქსი; 2. ტამტამი; 3. „ქალთევზა"; 4. ჰავანა; 5. აკლდამა; 6. ანტალია; 7. მადერა; 8. დოლიქოკეფალია; 9. აქლემი; 10. რიანა; 11. პავლე; 12. ვარსკვლავი; 13. აკლდამა; 14. ბაზა; 15. მოვი; 16. ამაგი; 17. მაისი; 18. მუსტანგი; 19. დურდო; 20. ქსუ; 21. მაზლი; 22. დაფნა; 23. მარაო; 24. იუანი; 25. ნაი; 26. დაიან კიტონი; 27. ფრაიბურგი; 28. მოსე; 29. ოე; 30. აფიშა; 31. არიფი; 32. აზია; 33. როკი; 34. ვუდუ; 35. ნები; 36. ულაყი; 37. დანა; 38. ტიკი; 39. ფრონე; 40. გურამ; 41. გალა; 42. ფაშა; 43. ფინია; 44. ონეგინი; 45. შოვი; 46. „გროლში"; 47. ნეფე; 48. აკორდი; 49. ში; 50. ორეადა; 51. ურო; 52. შენიე; 53. დიპლოპია; 54. ბუდა; 55. კიი; 56. პა; 57. პირსინგი; 58. რინა; 59. პიეტა; 60. ორბი; 61. სტამბა; 62. გონერილა; 63. ნერუ; 64. მაია; 65. ნასაუ; 66. ნიკო; 67. ლემუელი; 68. შადე; 69. ნინოწმინდა; 70. ნადი; 71. ბარბი; 72. ისლი; 73. იზიდა; 74. ანემია; 75. ბოი; 76. აარე; 77. ზრო; 78. დია; 79. ნო; 80. ირონია; 81. ურალი; 82. იერო; 83. ლიე; 84. რაი.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

დაცვის პოლიციის დეპარტამენტი საკონტრაქტო სამსახურში მიღებას აცხადებს

125 დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი აცხადებს 18-დან 27 წლის ასაკის მოქალაქეთა მიღებას საკონტრაქტო სამსახურში.

სამხედრო აღრიცხვაზე მყოფი მოქალაქეები სამსახურში მიიღებიან ერთი წლის ვადით. დაცვის პოლიციაში სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდა, წვევამდელების გარდა, შეუძლიათ სტუდენტებს, ოჯახში ერთადერთ შვილებს, 27 წლამდე მამაკაცებს, რომლებსაც ჰყავთ ცოლ-შვილი. სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდის შესახებ კანონმდებლობის მიხედვით აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეები შეღავათებით სარგებლობენ, თუმცა, თუ მათ სამომავლო კარიერისთვის სურვილი აქვთ, გაიარონ სამხედრო სამსახური, შეუძლიათ, მიმართონ შსს-ს დაცვის პოლიციის დეპარტამენტს.

საკონტრაქტო სამსახურის პირობები:

ვადა: 12 თვე

გრაფიკი: სამ დღეში ერთხელ 24-საათიანი რეჟიმი (შესაძლებელია სწავლის შეთავსება).

ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევა;

ყოველთვიური ანაზღაურება: 90 ლარი;

სამსახურში ჩასარიცხად საჭიროა:

1) კანდიდატი მობრძანდეს დაცვის პოლიციის დეპარტამენტში მისამართზე: აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ.

2) დაასახელოს/წარმოადგინოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ან სხვა ძალოვანი უწყების თანამშრომლის რეკომენდაცია;

3) გაიაროს გასაუბრება და ჯანმრთელობის კომისიის შემოწმება;

წარმატებული კანდიდატები ორი კვირის განმავლობაში გაივლიან სპეციალური მომზადების კურსს. სამხედრო ფიცის მიღების შემდეგ ჩაირიცხებიან შინაგან საქმეთა სამინისტროს საკონტრაქტო სამსახურში და დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სხვადასხვა ქვედანაყოფში გადანაწილდებიან.

დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციისთვის შეუძლიათ დარეკონ ნომერზე: 125 (ზარი უფასოა).

125 დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

იცხოვრეთ მშვიდად

დაზოგეთ წელიწადში 300 ლარი

ბინა – 60 ლარი

აგარაკი – 100 ლარი

ბინას + აგარაკი = 135 ლარი

დაცვის პოლიციის მიერ დაცული სააგარაკე ზონებია:

წყნეთში, ბეთანიაში, კოჯორში, საგურამოში, შინდისში, ტაბახმელაში, ოქროყანაში, წავკისში, ბორჯომში, ბაკურიანში, კვარიათში, ურეკში, გონიოში, სარფში, ნაბახტარში, მისაქციელში, ჟოპორტში, ბულაჩაურში, არაგვისპირსა და ნითელსოფელში.

www.125.ge SECURITY POLICE 125 SECURITY POLICE 125

125 დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

იცხოვრეთ მშვიდად

დაიცავით თქვენი ქონება თანამედროვე დაცვითი სისტემებით

დაცვის პოლიცია თავის საქმიანობას მაღალი კლასის საბრანსპორტო საშუალებებით ახორციელებს. დედაქალაქსა და რეგიონებში მოქალაქეთა უსაფრთხოებას ოპერატიული რეაგირების 60 ეკიპაჟი ემსახურება.